მეთევან. შემიბრალე!

ლევან. ოჰ! ღმერთო დიდებულა! .. მე სსვგან დაგეკებდი...

და აქა ყოფილს!.. მ:მ სხვაგვარად იქნებოდა თუ არ ეს?...
 ძეთევან. ლევან!.. ნუ მწვევლი!.. სხვამ გიდეგ, მაგრამ შენ ნუ...
 ლევან. რა! შე შეხვეწებულს!.. დაწვევლილს!... მომწამლე-
 ლს!... სულ-მდაბლს!..

ძეთევან. შენ არ იცა ლევან, რა ყოფაშია ვიყავი!.. ვეკლას-
 იერი გაიგო!... უნდოდა მოკვადი... მითხრა, უთუოდ
 მოკვლავო!.. მე თითონაც არ ვიცი რას ჩავდიოდი... ში-
 შით გონება დამეხს!... ლევან! გეუცებო რომ ჭკუასკდ
 არ ვიყავი!... შენ მაინც არა გავს უიღებს დამწვევლი!..

ლევან. შენს სასამაგლეში მე მაინც ნუ გამსკვებ!.. მე არ ვუ-
 რვევარ!..

ძეთევან. (მუხლებში ჩაუვარდება) არა, არა, შენ არ ურვევისარ!..
 მარტო მე ვარ დამნაშავე!.. ჩემო ლევან!... შენ დასას-
 სნელად მოვიქეცი ესე!... შენის სიევარულის გულისა-
 თვის, შენთვის!..

ლევან. შენ გიდეგ სიევარულზედ დაშარავობ?... დასწვევლს
 დმერთმა შენი სიევარული, რომელმაც მე მეგობრის მო-
 დალატედ გამსდა!... დასწვევლს დმერთმა შენი სიევარ-
 ული, რომელმაც შენს ქმარს თავი მოაკვლევის!.. შენი
 სიევარული, რომელიც აწვევინებს სამშობლო გმირთა და
 ჭდუშავს სამშობლოს!... დასწვევლს იგი, გრძნობს ვო-
 ვოსეთისა და კანის-ველისა!...

ძეთევან. ლევან!.. ხომ მეღავ მაგითი!...

ლევან. არა, ვერ არა!...

ძეთევან. რა გინდა ჭქნა, შე უბედურო?..

ლევან. (მიათრევს ფანჯარასთან) აქ მოდი!... აქ... აი დასტები
 შენის საქმიათა!

ძეთევან. შემობრალე!.. (ფანჯარა განათლდება ცეცხლით; ხალხში
 ძრწუნვის ხმა).

ლეონი. უეურო, მტარვალა! სედავ, როგორ იწვიან!..

მეთევან. შემიბრადე!.. ლევან!.. უმაღურო!.. უმაღურო!..

ლეონი. შეეჩვიე ტეტხლსა... ვოჯოხეთისა აღარ შეგეშინ-
დება!..

მეთევან. დამნაშავე ვარ... ლევან!.. მაგრამ შენთან კი არა!..

ლეონი. აი უურო დაუგდე!.. დამინახეს!.. გაიგონე, რას ამ-
ბობენ!... (კულისების იქით ისმის ხმა: «ლევან! მოლაღატე!
იუდა!») გესმის?..

მეთევან. ახ! დმერთო ჩემო!..

ლეონი. სედავ, სვიმონის სულს, რომელიც მიძახის: «აღთქმა
არ დაგავიწყდეს!»

მეთევან. (შეშინებული უკან დაიწევეს) არა... არა...

ლეონი. (მიდის ქეთევანთან) «ვინც უნდა იეოს დამნაშავე, დაჭკა,
ლევან, — მით სამშობლოს იტავ; გუღი გაუბე — მით სა-
ქართველს იხსნი!»

მეთევან. ლევან!.. შენ უნდა მომკლას?.. შენა?..

ლეონი. (ხანჯალს ამოიღებს) ფიცი მიმიცია!..

მეთევან. (გოივიით იღერებს) შენის სელით არა... არ შეიძლე-
ბა!.. შენის სელით როგორ მოვკვდე!.. მე შენ სიკ-
ვდილს გადაგარჩინე?.. ეგ საშინელება იქნება! დამწყვე-
ლე!.. გამსრისე!.. ყველას ავიტან... მაგრამ ნუ მომ-
კლავ!.. მეშინიან!.. ლევან!.. ჩემო საყვარელო ლევან!..
ჩემო დმერთო, შემიბრადე!.. შენ ნუ!..

ლეონი. (აღტაცებული) ფიცი მიმიცია!..

მეთევან. არა, არ მანდა... თავი დამანებე!..

ლეონი. ფიცი მიმიცია... ფიცი მიმიცია!... (დაჭკრავს გულში
ხანჯალს),

მეთევან. ახ!.. (დაეცემა. ლევან ხანჯალს გადაადებს).

ძეთევან. ესლას კი მოკვდა!... რომ იცოდეს რა რიგ მიუკარ-
დი!... მიუკარდი... ბ

ლევან. (დაბნეული) მოკვდა?.. მე!.. მე!... 2

ძეთევან. მოდი ჩემთან!.. ლევან!.. მოდი!...

ლევან. (დაეცემა მუხლებზე ქეთევანის გვერდით მომაკვდავთან, ჰკოც-
ნის და ქვითინებს). მოკვდა!... მოგეწევი... ეს რა ვქენ, მე
უბედურმა?... მოკვდა!... ქეთევან... ჩემო საყვარელო, ქე-
თევან!.. ჩემო ღმერთო... ბ

ძეთევან. მოდი... მოდი... ბ

ლევან. აი, მოიცა, ესლავ მოგეწევი... (მივა ფანჯარასთან, გა-
აღებს და ზედ შედგება) მძანო... მამიცადეთ... თქვენთან
მოუდივარ!... მე გასწავლით, როგორც უნდა სიკვდილი
სამშობლოსათვის!... (გადახტება, ქეთევან წამოიწევის; ისმის
ნაღარას ხმა; ქეთევან დაიუვირებს და დაეცემა მკვდარი). ბ

ფარდა. 2

დასასრული . ბ

10 ივლისს 1881 წ.

ვინ მოიზონა ქართული ანბანი? *)

სომხის მწერალნი ქორიუნ და მოსე სორენელი, რომელნიც სცხვარებდენ მეს-უთე საუკუნეში და იყვნენ თანამედროენი მესროფისა, სომხურ ანბანის მომგონებელის ანუ გამახსლებელისა, ამტკიცებენ რომ ქართული ანბანიც მესროფის მოიგონაო. ქორიუნი ზი რას ამბობს ამასეჲდ მესროფის ცხვარების აღწერაში: მესროფმა როდესაც სომხური ანბანი მოიგონა, გაემგზავრა ივერთა ქვეყანაში (საქართველოში), გამოეტყდა იმ ქვეყნის მეფეს ბაკურს და ეპისკოპოსს მოსეს, განცნო თავისი მოგონილი ანბანი და მათის თანხმობით მოიგონა აგრეთვე ანბანი ივერიელებისათვის. შემდეგ ამისა უბძანა მეფემ ერთს ივერიელთა ენის მცოდნე კაცს, სახელად ჯახისს, რათა შეეკრიბა უმაწვილნი სხვა-და-სხვა თემებიდან, რომელნიც ერთმანერთში განსხვავდებოდენ ენით და ესწავლებინა მათთვის ერთი ენა, რომელზედაც შემდეგ ივერიელნი ადიდებდენ დმერთსა**). მოსე სორენელი თავის სომხეთის ისტორიაში ამბობს: «მესროფ წავიდა ივერთა ქვეყანაში და იქაც შეწყენითა ღვთისათა დააფუძნა წერა-კითხვა ჯახისს დახმარე-

*) ეს წერილი წაკითხულ იქმნა ავტორისაგან მეხუთე არხეოლოგიურ კრებაში.

***) ეს ცნობა და მისი თარგმანი გარდმოგვცა ჩვენ გამოჩენილმა სომხურის ენის მცოდნემ ნ. ემინმა.

ბით, რომელიც იყო მთარგმნელი ბერძნულისა და სომხურის ენებიდან; მეფე ივერთა ბაგურ და ეპისკოპოსი მოსე შეეწივნენ მესროფს*).

ევროპაში ქორეუნს კარგად ვერ იცნობენ; მაგრამ მოსე სორენელის თხზულება კი წარსულ საუკუნის დასაწყისს გადათარგმნეს ლათინურად და მასუკან თითქმის ყოველს ევროპიულს ენასუდ, ასე რომ აღმოსავლეთის მცოდნეთ ძლიან ადრე გაიცნეს იგი**). ესლა ამ თხზულებას დიდი ნდობა აქვს დასავლეთში და ძველის აღმოსავლეთის გასაცნობად სხვა წყაროთა შორის უჩანსკნელი ადგილი არ უჭირავს. ამ თხზულების წყალბით ესლა ევროპის სწავლულებთ სჯერათ მოსე სორენელის სიტყვა და ჭგონიათ, რომ ქართული ანბანი მოიგონა მესროფმა. ამ საგანსუდ ასე გულ-დაჯერებულნი არიან, რომ თვით ერთი საიუძკლიანი და ფთხილი სწავლული უიტნი თავის თხზულებაში. რომელიც გამოიცა 1875 წელს, (*La vie du lagange, Paris, გვ. 202.*) ამბობს მესროფისაგან ქართულის ანბანის მოგონებასუდ ისეთის კილოთი, თითქო ამ საგანში ეჭვის შემოტანა შეუძლებელი იუოსო. მაგრამ ჩვენ გავბედავთ და ვიტყვი, რომ ქორეუნისა და მოსე სორენელის თქმული ქართულს ანბანსუდ ჭეშმარიტი არ არის და ვცდებით ამის დასამტკიცებელი საბუთები ამ წერილში წარმოვადგინოთ. ეს საბუთები შალეოგრაფიასუდ არ იქნებიან დაფუძნებული, ე. ი. ძველის ხელთ-ნაწერის შესწავლასუდ, რადგან, ჩვენდა სამწუხაროდ, ქართული შალეოგრაფია ჯერედ არ

*) სომხეთის ისტორია მოსე სორენელისა, თარგმანი ნ, ემინისა, გვ. 212.

***) იგივე, გვ. 19.

არსებობს. ჩვენის აზრის დასამტკიცებლად საკმარისია ისტორიული საბუთები, ქართულისა და სომხურის ანბანის ერთმანეთთან შედარება, თითონ ქორეიუნისა და მასე ხორენელის თქმულის ყურადღებით გასინჯვა და ქართლის-ცხოვრების გარდმოცემა.

როდესაც მესწოფისაგან შემდგებულს ქართულს ანბან-ბანზედ დაზარალებენ, სასეში აქვთ მხოლოდ ხუცური, საეკლესიო ანბანი, რადგან ხუცური ერთის შესედულობით სომხურსა ჰგავს და ავიწყდებათ, რომ ქართველებს მეორე სამოქალაქო, მხედრული ანბანიცა აქვთ. საქართველოს ცხოვრებაში მხედრულს ყოველთვის მეტი მნიშვნელობა ჰქონია, ვიდრე ხუცურს; მხედრული იხმარებოდა ყოველ-გვარს საზოგადოებაში და მთელს საღსში იყო გავრცელებული; ხუცურს ანუ საეკლესიო ანბანს კი, როგორც თვით სასულიერე ამტკიცებს, მხოლოდ საეკლესიო წიგნებისათვის ხმარობდნენ. მხედრულზედ სომხის ისტორიკოსები არასფერს არ ამბობენ; არასფერს არ ამბობს აგრეთვე განსაკუთრებით ამ ანბანზედ ქართლის-ცხოვრება; მაგრამ ამ უკანასკნელში მოხსენებულა, რომ საქართველოში პირველად წერა-კითხვა ჯ ანბანი შემოიღო ფარნაოზმა, საქართველოს პირველმა მეფემან *). ეს ჩვენება ქართლის-ცხოვრების ჩვენთვის ფრად შესანიშნავა; ამის გამოჟერ შეუდგებით იმის დამტკიცებას, რომ ეს ქართლის-ცხოვრების თქმული ადვილად დასაჟერებელია და რომ ფარნაოზმა საქართველოში შემოიღო მხედრული ანბანი და არა ხუცური; შემდეგ მოვილაზარებთ ხუცურს ანბანზედაც, რომლის შემოდებათ მესწოფი ჰგონიათ.

*) ქართლის-ცხოვრება, გამოცემა აკადემიკის ბროსესი 1849 წ., ნაწ. I, გვ. 32.

მეფე ფარნაოზს, რომელიც სტროვრებად მეოთხე საუკუნის დასასრულს და შესამუს დასაწყისს ქრისტეს წინა, დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ისტორიაში. ფარნაოზმდე საქართველოს ჭაბჭაბოებდენ მამასახლისები. ალექსანდრე მაკედონელის დაპყრობამ მოუღო ბოლო მამასახლისობას და დაამყარა საქართველოში მაკედონელ მსუდართ ბატონობა. ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ, ფარნაოზმა, შვილმა, თუ ძმისწულმა უკანასკნელის მამასახლისისამ, გარეკა საქართველოდამ შემოსეულნი მაკედონელნი, თავის-თავი საქართველოს მეფეთ აღიარა და უფრო მტკიცე კავშირის დასამყარებლად თავის სამეფოში, შემოიღო იგივე ადმინისტრაციული და სამსჯდრო წესი, როგორც შემოღებული იყო დარბოს ჭისტანისაგან სპარსეთის სამეფოში*); ერთის სიტყვით ფარნაოზმა მკვიდრი წესიერება ჩამოაგდო საქართველოში. მასვე მიაწერენ საქართველოში წერა-კითხვის შემოღებას და ეს ამბავიც დაუწყებელი არ არის. იმ კაცმა, რომელმაც თავისი ხალხი უცხო-კვეყნელთა ყმობისაგან განათავისუფლა, შემოიღო ახალი სამსჯდრო, ადმინისტრაციული და მოქალაქობრივი წესი და ამით ხალხს წინ იყესი წაადგმევინა წარმატებას გზაზედ, — იმისთანა კაცმა საქმით გამოაცხადა თავისი სურვილი — ჩამოეგდო საქართველოში ერთობა და თავისი საკუთარი სახე დაეტყობანებო; იმისთანა კაცი ადვილად მიხვდებოდა, რომ წერა-კითხვა უმთავრესი საშუალება იყო იმის წაღილის შესასრულებლად საქართველოს შესახებ. ეს შესჯდრულობა უფრო სარწმუნო იქნება, თუ მოვიგონებთ, რომ ფარნაოზის დროს აზრების გარდაცემა ასოების მხგავს ნიშნებით იშვიათი არ იყო. ყოველს

*) ქართლის-ცხოვრება, გვ. 31.

ხალხს, რომელთადაც კი მაშინდელს საქართველოს დამოკიდებულება ჭქონდა რამე—სწავსელებს, ბერძნებს და მცირე აზიისში მცხოვრებთ სხვა ტომის ხალხთ, გაცნობილი ჭქონდათ ანბანის შექმნობით წერა-კითხვა.

ახლა გავსინჯოთ ესა: რა ანბანი შემოიღო ფარნაოზმა და ან რომელს ხალხს მიჰბაძა? ამაზედ აი რა ზასუხს მიუყვებით: ფარნაოზმა შემოიღო ზენდური ანბანი სწავსელებისაგან. ზალეოგრაფია გვასწავლის, რომ რომელი ხალხიც კი გადიდებს მეორე ხალხისგან ანბანს, უნდა ამ ხალხთან დაახლოვებული კავშირი ჭქონდეს რამე. ეს პირობა საქართველოსა და სწავსეთის შესახებ შესრულებულია, რასაც ამტკიცებს როგორც საზოგადო ისტორია, ისე კერძო ისტორია საქართველოსი.

უძველეს დროდამე საქართველოსა და სწავსეთს შუა განუწყვეტელი დამოკიდებულება და მისკლა-მოსკლა იყო. საქართველო შეადგენდა ნაწილს დარბოს ჭისტასპის სამეფოსას, როგორც მეთვრამეტე და მეცხრამეტე სატრანზი*) და ახმენიდებს ძღვევდა გადაჭრილს ხარკს. ჩვეულება და სარწმუნოება საქართველოში იგივე იყო, ანუ თითქმის იგივე, როგორც მაშინდელს სწავსეთში**); ქართველების ღმერთის არმაზის სახელი თითქმის იგივე რამეზდია. საქართველოს მამასახლისები ნათესავობდნენ სწავსეთის მეფეებს და დიდებულებს. მამა და ბიძა ფარნაოზისა დაახლოვნენ დარბოს გოდომანის ჯარში,

*) ჰეროდოტი. ფრანცუზული თარგმანი, წიგნი III, § 94 და საქართველოს ისტორია თ. ბარათაშვილის, რვეული I, გვ. 16.

***) ქართლის - ცნობრება, გვ. 28 და ბარათაშვილის ისტორია, გვ. 20—21.

რომელიც იბრძოდა სპარსეთის დასაცველად მაკედონელების ხელთაგან. დედა ფარნაოზისა იყო სპარსელი ქალი ისპანჯანი-დამ *). ეს ჭაკტები ცხადად აჩვენებენ, როგორ დაახლოებული იყო საქართველო სპარსეთთან.

ფარნაოზის დროს და იმის წინაჲდ რომდენიმე საუკუნეს სპარსეთში ხმარებული იყო ზენდური ენა და ზენდური წიგნ-კითხვა (L'avesta, Zoroastre et Masdeisme par A. Hovelacque, 1880, გვ. 41.). თუ ჩვენი აზრი შესახებ ფარნაოზისაგან ანბანის შემოღებისა სპარსეთიდან ნამდვილია, მაშინ ფარნაოზისგან მაგალითად აღებული ანბანი უნდა ზენდური უოფილიყო, რადგან სპარსეთში იმ დროს სხვა ანბანს არა ხმარობდენ და ამას გარდა ჩვენი ანბანი უნდა ჰგავდეს ზენდურს ანბანს. მართლაც და მსკდრულსა და ზენდურს ანბანს შორის დღესაც კი საკვირველი მსგავსებაა, თუმცა ჩვენისა და ფარნაოზის დროს შუა მრავალს საუკუნეს გაუკლია.

ზენდურს ანბანშია 35 მარტივი ასო; მასშია აგრეთვე დიფტონგები და ლიგატურები, რომელნიც წარმოსდებიან მარტივის ასოებიდან ერთმანერთთან სხვა-და-სხვა რიგად გადახლართვით (Grammaire de la langue zende, A. Hovelacque, 1878. Grammaire comparée, t I, Fr. Vorr. Азбуки восточныхъ и западныхъ языковъ, Р. Нипперта). ამ 35 ასოში 25-ს ეთანხმება მსკდრული ასოები, რომელთაგანაც ზოგნი განსაცვიფრელად წაგავან ზენდურ ასოებს და ლოგთა კი დასტყობიათ მეტ-ნაკლები ცვლილება, როგორცა სჩანს შემდეგის შედარებიდან (ნახე დამატ. ფურც.)

*) ქართ.-ცხ. გი. 23 და სარათაშ. ისტ. გვ. 20—21.

ხშირად მოხდება სოფლე რომ ასე იცვლება და აღარ წააგავს თავის დედანს, როდესაც ერთის ხალხიდან მეორეში გადადის. ამის მიზეზი სხვა-და-სხვა კალამი, სხვა-და-სხვა რიცხვი ხმათა, სხვა-და-სხვა რიგი წერისა მარჯვნივამ, ანუ მარცხნივამ, დრო და სხვ. მსედრული ანბანიც ვერ გადაურჩებოდა ამ მიზეზებს, მაგრამ მანაც ზოგიერთი ზენდური ასოები სრულებით შეუცვლელნი დარჩენილან მსედრულს ანბანში, მაგ. დ, ც, სხვებს სახე არ შეუცვლიათ, შეუცვლიათ მხოლოდ მიმართულება: ზოგან სიგძე სიგანეთ გადაქცევია ჯ სიგანე სიგძეთ, ან მარჯვენა მხარე მარცხნივ მოქცევიათ, რაც ადვილად ასახსნელია, რადგან ზენდურად მარჯვნივამ მარცხნივ იწერება და ქართულად კი მარცხნივამ მარჯვნივ; ამისთანა ასოები არიან ლ, რ, მ, ჰ და სხვ. ზოგიერთ ასოებს დაჭკლებიათ რომელიმე ხაზი, ან ამ ხაზს სხვა მიმართულება მიუღია, ვიდრე ზენდურს ასოებში ჰქონდა, მაგ. ლ, ა, ც, ტ და სხვ. უნდა ესეც მოვიგონოთ, რომ ყოველს ზენდურს ასოს რომელი აქვს შესაბამისი ხმა ქართულს ენაში. შემოხსენებულნი ცვლილებანი ისე მტკიცე არიან, რომ ვინც კი შაღუოგრაფია იცის, არ ჩასთვლის გადაჭარბებით ჩვენს სურვილს, — ნახვენებს ფაქტებსედ დავაფუძნოთ მოგაგებს ზენდურის და მსედრულის ანბანისა. მრავალი ანბანი, რომელთ დასაწყისი ჩვენ შედმიწევნით ვიცით, ნაკლებს ცვლილებებს არ წარმოადგენს თავის დედანთან შედარებით, ვიდრე ამას ქართულსა და ზენდურს ანბანებში ვხედავთ, მაგალითად შეიძლება დავასახელოთ რუსული ანბანი, რომელიც ბერძნულისაგან წარმოსდგება.

ჩვენის აზრით, შემოხსენებულის ფაქტებიდან ცხადდას ხანს, რომ მოგაგებსა ზენდურსა და მსედრულს ანბანს შორის შემთხვევა არ არის, არამედ ეს ფაქტი ამტკიცებს ამ ორის

ანბანის ახლა ნათესავობას ერთმანერთთან. მაგრამ შეიძლება ვიკითხოთ: სწორედ ფარნაოზის დროს კი შემოიღეს ზენდური ანბანი საქართველოში? ამ კითხვაზედ ჰასუნის მისაგებლად ჩვენს გვაქვს ერთი ისტორიული ფაქტი, ის რომ ზენდური ენა და წერა-კითხვა გადაკარდა სპარსეთში მესამე საუკუნეში ქრისტეს წინა, მასუგან, როდესაც ალექსანდრე მაკედონელმა სპარსეთის სამეფო დაამხო (L'avesta, Zoroastre et Mandeisme par A. Hovelacque, 1880.) ალექსანდრე მაკედონელის სამეფოს დამხობის შემდეგ პირველი ადგილი დაიჭირეს პართიანელებმა და როგორც აჩმაკიდების, ისე სასანიდების დროს ხმარებაში იყო პესლევიური ენა და წერა-კითხვა, ანუ გუზარცხ. მასუგან სპარსეთი დაიპყრეს არაბებმა, რომელთაც შეიტანეს იქ თავიანთი საწმინთოება და თავიანთი წერა-კითხვა, რაც დღესაც ხმარებაშია. ამ დროს განმავლობაში ზენდური წერა-კითხვა სრულიად მოიშრა და მხოლოდ სწავლულის აკეტილ დიუპერონის მოღვაწეობით იპოვნეს იგი წარსულ საუკუნის მეორე ნახევარში და გააცნეს ევროპის მეცნიერთ. ცხადია, რომ ზენდურის ანბანის შემოღება უცხო ხალხისაგან მხოლოდ მაშინ შეიძლება მომხდარიყო, როდესაც მას ხმარობდა ხალხი პოლიტიკურისა და ჭკუა-გონების გავლენის მქონე, რადგან მხოლოდ გავლენის მქონე ხალხს შეუძლიან თავისი ანბანი სხვას მიადებინოს; და ცნობილია რომ სპარსეთის იმდენს გავლენა არას დროს არა ქქონია მცირე აზიასში, როგორც მაკედონელებისაგან დაპყრობის წინადა ქქონდა.

ზენდურის ანბანის გავრცელების დრო სრულიად ეთანხმება ფარნაოზ მეფის დროს. ფარნაოზის შემდეგაც შეეძლოთ ქართველებს ანბანის შემოღება, მაგრამ ეს ანბანი ზენდური როდი-ლა იქნებოდა. შედარებამ გვაჩვენა, რომ ქართველებმა ზენ-

დური ანბანი შემოიღეს, მასშასადაძე ეს ანბანი უნდა ფარნა-
ზის დროს ყოფილიყო შემოღებული.

სხანს რომ ქართველებმა ანბანი მესროფსედ ბეკრით აღ-
რე იტოლენ. ამასვე ამტკიცებენ ქართლის-ცხოვრებიდამ ამო-
რეფილი ცნობები, რომელთაგანაც ზოგიერთებს აქვე დავასა-
ხელებთ და მასუკან გავსინჯავთ ხუცურს ანბანს და სომხის
ისტორიკოსების ცნობებს მესროფის მოქმედობაზედ.

ქართლის-ცხოვრება ამბობს, რომ ძეგე შირიანმა, რომ-
ლის დროსაც შემოვიდა საქართველოში ქრისტიანობა, ახალის
სარწმუნოების მიღებადვე, მოიწადინა გაეცნო მისი ღიჭსება
და გარდა ბეკრის ბაასისა ქრისტეს მცნების მქადაგებლებთან,
იკითხა მრავალი ძველი და ახალი წიგნები და აგრეთვე წიგნი
ნიკოლოდისა, რომლებშიაც იმან იპოვა წინასწარმეტყველება შე-
სახებ მესიის მოსვლისა *). იგივე ქართლის-ცხოვრება ამბობს,
რომ შირიანმა, წმინდა ნინომ და სასოგადოდ ყველა ქართვე-
ლებმა მიიღეს რომის პატრიარქისაგან მოლოცვის წერილი
ქრისტიანობის მიღების გამო და თავის მხრითაც გაუგზავნეს
პასუხად წერილები გამოგზავნილის პატრიარქის ხელით **).
შემდეგ არის ნათქვამი, რომ წმინდა ნინო, რომელმაც ქრის-
ტეს რჯული შემოიტანა საქართველოში, არას ამბობდა თავის
ვინაობაზედ, მაგრამ სიკვდილის წინ, ვვმ წელს ქრ. წინად,
დათანხმდა თავის მახლობელთა თხოვნას და უამბო თავისი
ცხოვრება; მან განაცხადა სურვილი მოეტანათ საწერ-კალამი
და ჩაეწერათ ნამბობი მისი. იქ მდგომთა შორის ძეგის ასულ-
მა საღომემ და ერისთავმა ერეყ ავრისტოვანმა მოიტანეს სა-

*) ქართ.-ცხოვ. გვ. 84.

***) იგივე, გვ. 97.

წერ-კალაში და ჩასწერეს ყოველივე, რაც უამბო მათ თავის-
თავზედ წმ. ნინომ*). იქვე აგრეთვე ნამბობია, რომ როდეს-
საც მეფის ვარსებქარის შვილს მუჩვანოსს ასწავლიდენ წერსა
და კითხვას, ისეთი ნიჭი გამოიჩინა სწავლაში, რომ მნახენი
დიდად გააწვიფრო**). ჩვენ აღარ დავსახელებთ სხვა საბუ-
თებს, რომელნიც იმ დროსვე ეკუთვნის ეს ფაქტებიც, რომ-
ელნიც მომხდარს მეოთხე საუკუნეში ქრისტეს შემდეგ, ე. ი.
მესროფის ანბანის წინადა, ამტკიცებენ რომ ქართველებს მეს-
როფის დრომდეც ჰქონდათ თავიანთი ანბანი.

თუ ყოველსავე ჩვენგან ნათქვამს სარწმუნოდ ვაღვიარებთ,
უტკეულად უნდა მივიღოთ, რომ ქართველებს მესროფის წი-
ნად ჰქონდათ ანბანი და ეს ანბანი იყო მხედრული. ამის შემ-
დეგ გავსინჯოთ ხუცური ანბანი და თქმული მესროფზედ სომ-
ხების ისტორიკოსებისაგან.

ხუცური ანბანი მართლაც რომ ერთის შესედეით ძალიან
სგავს სომხურს ანბანს, რომლის მოგონებას მესროფს მია-
წერენ; მაგრამ ეს მსგავსება მხოლოდ გარეგანია. სომხური
ასოები შესდგებიან სწორე ხასებისაგან და წარმოსდგებიან ძა-
თის გადაბმით ერთმანერთთან. ამიტომ სომხური ასოები გუთ-
ხიანებია. ესევე გუთხიანი სახე აქვს ხუცურს ასოებს, რადგან
ისინიც სწორე ხასებისაგან შესდგებიან; მხედრულს კი სრუ-
ლებით მრგვალი სახე აქვს, რადგან მასში მრგვალი ხასებია
და არა სწორეები. თუ ამ გარეგანს მსგავსებას თავს დავსანუ-
ბებთ და შევადარებთ ცალ-ცალკე ხუცურს ასოებს სომხურ ასო-
ებთან, ვერ ვიპოვიოთ ვერავითარს მსგავსებას გარდა ასოსი h

*) იგივე, გვ. 99.

***) ქართ.-ცხოვ. გვ. 103.

(კ). მაგრამ თუ ხუცურის ასოებს მსედრულებს შევადარებთ, დიდს მზგავსებას ვნახავთ: მსედრულს ანბანში 38 ასოა და 30-ის მათგანის მზგავსი მოიპოვება ხუცურში, მხოლოდ იმ მცირე განსხვავებით, რომ მსედრული ასოები მზგავლის სახე-ბიდამ შესდგება და ხუცურში ეს მზგავლი სახეები სწორედ არის გაწეული; აი მაგალითისათვის რამდენიმე შესადარებელი ასო.

მსედრული.	ხუცური.
თ	თ
მ	მ
ნ	ნ
ს	ს

დანარჩენის რვა ასოდამ შვიდი უფრო შეცვლილია, მაგრამ ეს ცვლილება ისეთი დიდი არ არის, რომ იმ ასოების თავიანთ დედანებთან შედარება აღარ შეიძლებოდეს; მეორე ასო ლ (კ) ძალიანა ჭკავს სომხურს ასოს, რომელსაც იგივე ხმა აქვს.

ჩვენ როცა მსედრულისა და ხუცურის მზგავსებაზე ვლა-პაწაკობდით, სახეში გვქონდა მხოლოდ ხუცური ჩკეულებრივი ასოები და კიდევ ზოგიერთი ასო-მთავრული; სხვა ასო-მთავრულები კი არა ჭკვანან არც მსედრულს, არც სომხურს ასოებს*). შესანიშნავია, რომ ზოგიერთი ხუცური ასოები

*) კლაპროტმა რადგან თავის თხზულებაში ვერ შეადარა ხუცურის ასო-მთავრულები სომხურს ასოებს, ეცადა სხვა ანბანებთან შეედარებინა და იპოვა დიდი მზგავსება მათსა და სხვა-და-სხვა ანბანებს შუა, რომელთაც ინდოეთში ხმარობენ, სხვათა შორის ანბანთან დევანაგარი. ზოგიერთი შედარება კლაპროტისა საფუძვლიანია, მაგრამ შემცდარი გვეგონია მისი აზრი, ვითომ ამ ასოების გულისთვის მესროფი ინდოეთ-

უფრო ჭკვანან ზენდურს ასოებს, ვიდრე მხედრული ასოები, მაგ. ა, ზ, უ და ა.

ამ გარჩევამ დაგვანახვა შემდეგი: ხუცურს ანბანს მხოლოდ ერთი ასო აქვს საერთო სომხურს ანბანთან და აგრეთვე სომხურის მზგავსი შესედულობა; დანარჩენ 37 ასოში 30 სრულებით მხედრულსა ჭკვანან და შვიდში კი ეს მზგავსება ისეთი ცხადი არ არის. ამიტომ გაბედვით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ხუცური ანბანი იგივე მხედრული ანბანია, მხოლოდ მრგვალი ხასები სწორე ხასებზეა შეცვლილი. მაგრამ ეს ცვლილება ისეთი დიდი არ არის, რომ იმის მოსასდენად უცხო-ქვეყნელების შეეღა დასჭირებოდა. მეტადრე იმისთანა ხალხს, რომელსაც მუდამ მისულა-მოსულა ჭქონდა ბიზანტიასთან და სხვა მაშინდელ განათლებულ ხალხებთან, რომელსაც შვიდი საუკუნე მეტი ჭქონდა თავისი წერა-კითხვა.

ახლა გავსინჯოთ ქორიუნისა და მოსე ხორენელის თქმული და გავაჩიოთ მისი შინაარსი. უნდა შევნიშნოთ, რომ ქართლის-ცხოვრებაში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი არც მესროფზედ, არც იმისგან ხუცურის ანბანის შემოღებაზედ. ქორიუნისა და მოსე ხორენელის გარდმოცემული სწორედ ეთანხმება ერთმან-ერთსა: ორივე ამბობენ, რომ მესროფმა ანბანი შემოიღო ბაკურ მეფისა, მოსე ეპისკოპოსის და ჯანის დროსაო. განსხვავება მხოლოდ ეს არის, რომ ხორენელს ჯანხი ჭყოლია ბერძნულისა და სომხურის ენიდამ მთარგმნელად,

ში წასულიყოს. ბიოგრაფიული ცნობები მესროფზედ და იმის მოგზაურობაზედ არ ეთანხმება კლაპროუჯის აზრს. კლაპროუჯი სულ იმასა სცდილობს, რომ ყოველისფერი მესროფის წყალობით ახსნას და ეს ამტკიცებს, რომ კლაპროუჯს მოსე ხორენელისაგან გარდმოცემული ამბავი სრული ქეშმარიტება ჭკონია.

არც გვარწმუნებს მესროფისაგან ქართულის ენის უცოდინანობას; ქარიუნი კი ამბობს ჯახიზედ, რომ ქართულის ენის კარგი მცოდნე იყო. ქარიუნი თავის თქმულს უმატებს კიდევ, რომ მესროფი საქართველოდამ აღბანიაში წავიდა და დაბრუნების დროს საქართველოს ტახტზედ დასვდა სხვა მეფე, სასულად არციუს, რომელიც დიდის გულ-მოადგინებით ავრცელებდა მესროფის ანბანსა.

აქ არის მოხსენებული ოთხი სახელი: ორა მეფე—ბაკურ და არციუს, ეპისკოპოსი მოსე და ჯახი. ჯახის სახელი რომ არ არის ქართლის-ცხოვრებაში ეს კიდევ არ უნდა გვიკვირდეს, რადგან ჯახი შეიძლება სწავლული ყოფილიყო, მაგრამ ხარისხი კი არა ჰქონდა. რა და ქართლის-ცხოვრება მოგვითხრობს მხოლოდ მეფეების, ეპისკოპოსების და სოფიერთა იმ ერასთავეების ამბებს, რომელნიც შემკვიდრებით მფლობელობდენ საქართველოს სხვა-და-სხვა მხარეში. გასაკვირველი და გაუგებარი ეს არის, რომ ქართლის-ცხოვრება მესროფის დროს არც ბაკურ მეფეზედ და არც სხვა მოსე ეპისკოპოსზედ არას ამბობს და არციუს მეფის სახელი საქართველოს ისტორიაში სრულიად არ არის, თუძგა კი ყველა მეფეების სახელებია, და ატრევე სახელები ეპისკოპოსებისა, უმაღლეს სასულიერო პირთა მაშინდელს დროში, დაწვრილებით ვიცით. მესროფი დაიბადა 361 წელს და მოკვდა 441 *). ქრისტეანობის დამკვიდრებიდამ საქართველოში 446 წლამდე. ე. ი. ვიდრე ვასტანგ I ტახტზედ ავიდოდა, ხუთის წლის შემდეგ მესროფის სიკვდილისა, საქართველოში იყო სულ ცხრა ეპისკოპოსი და არც ერთს მათგანს მოსე არა

*) ხორენელის ისტორია, თარგმანი ნ. ემინისა, გვ 362.

ჭქვიან. ბაკურ მეფე სამი იყო საქართველოში: პირველი მოკ-
ვდა 246 წ. ქრისტეს შემდეგ, მეორე 528 წელს და იმეფა
მხოლოდ 14 წელიწადი და მესამე იყო ამათზედ კიდევ გვიან.
ეს ფაქტები ამტკიცებენ სომხის ისტორიკოსების თქმულის მნიშ-
ვნელობას. მესროფისაგან ქართულის ანბანის მოგონებაზედ
არის კიდევ ერთი არა-უმნიშვნელო ფაქტი—ასო ო (ო) სომ-
ხურს ანბანში. ეს ასო არ იყო მესროფის ანბანში და მხო-
ლოდ მეთორმეტე საუკუნეში ჩაუმატეს სომხურს ანბანს *);
ქართველები გი ამ ხმის გამოხატვამდებდნენ ასოს ო-ს
იმავსე სახით, როგორც მეექვსე საუკუნეში; ამას ამტკიცებს მან-
ეთი სტეფანოს მეფისა, რომელიც სტროგრობდა მეექვსე სა-
უკუნის დასასრულს. ეს მანეთი არის დასატული ვიქტორ ლან-
გლუსს წიგნი (*Essai de classification des suites monetaires de la Géorgie, Paris, 1860, planche II, № 13.*)
ქართულ მანეთების შესახებ. ამ ცნობებს გარდა სხვა ნამდვი-
ლი ისტორიული ცნობებიც ამტკიცებენ, რომ საქართველოს
დიდი დამოკიდებულება ჭქვიანსა სპარსელებთან, ბერძნებთან,
რომაელებთან და ბიზანტიელებთან. ყოველს ამ ხალხში, რო-
გორც ვიცით, გავრცელებული იყო ანბანის ხმარება. ამის გა-
მო მხელად წარმოხადგენია, რომ საქართველოს ადრე არ ეგ-
რძნო სარგებლობა და სიკეთე ანბანის შემოღებისა. ქართული
ანბანი ჩინებული საშუალებაა მდიდარ ქართულ ხმების გამო-
ხატვამდებ; ისეთის სიმარტივით და ცხადად გამოხატავს იგი
ამ ხმებს, რომ ძვირად მოიძებნება იმისი მოგავსი ანბანი და
ამ მხრივ თვით სომხურიც ვერ შეედრება. ეს სიკეთე ანბანი-

*) Начальныя основанія гайканскаго языка, Берое-
ва, ст. 7.

სა თვითვე ამტკიცებს თავის სიმკვლევს და იმას რომ ამ ანბანის შესამუშავებლად უნდა ეშრომნათ ბევრს უცნობს ჰიქსს, რომელთაც კარგად ესმოდათ ხმების ასაკებათ დაყოფა; ამ გვარი გამართიკება შეუძლებელი იყო უცნობ-ქვეყნელისათვის, რომელმაც ქართულიც კი არ იცოდა. ამის გამო სომხის ისტორიკოსების თქმული მესროფისაგან ქართულ ანბანის შემოღებაზედ ჩვენის აზრით ყოველად უსაფუძვლელა.

შეიძლება გვითხრან, რომ იმისთანა პირების გარდმოცემული, როგორც ანან მოსე სორენელი და ქორიუნი, რომელნიც თითქმის მესროფის დროსა ცნობარობდენ, სრულიად უსაფუძვლელ არ იქნება, ალბად რომელსამე საბუთზედ არის დამყარებული. ამ ძნელს საგანზედ მხოლოდ შემდეგი აზრი წარმოგვეთქმის: მეოთხე საუკუნის მეორე ნახევარში და მეხუთე საუკუნეში ქრისტეს შემდეგ მეტად გავრცელდა განდევნილობა (სექტები), განდევნილთა შორის დიდი მტრობა ჩამოვარდა და ერთმანერთს აღწაფერში ჭზოგავდენ. ერთი სექტა არ ინდობდა არაფერს, რაც კი მეორე სექტას ეკუთვნოდა. ეს დევნა ანბანსაც გადასწვდა. ჩვენ ვიცით რომ მეხუთე საუკუნეში ნესტორიანელებმა, რომელნიც სპარსეთის დასავლეთის სამზღვრებზედ ცნობარობდენ, დაივიწყეს თავიანთი ძველი ანბანი და ახალი მოიგონეს, რომ სრულებით მოესპოთ იმათი სახსოვარი, ვინც კი მათის შესედიულობისა არ იყოს საწმინდობაზედ (Fr. Lenormant, *Essai sur la propagation de l'alphabet phénicien*, t II, გვ. 24). ამას გარდა საწმინდობის ცხარე თავგანის-მცემელნი სპობდენ ახლად მოქცეულ ქრისტიანების ანბანს, რომ იმათ აღარ ჭჭონოდათ-რა კავშირი ძველს ცნობარებასთან, აღარ შემდგარიყვნენ, და უგონებდენ ახალს ანბანს. ასე უფრო იმ ხალხებს ექცეოდენ,

რომელთაც ქრისტიანობის მიღებამდე არა ჰქონდათ ვრცელი ლიტერატურა.

ქართველებში არასდროს არა უფიქროსთა გაკრძელებული საწმინეობის ტანსაცმელი და არასდროს არ აწესებდნენ სხვა საწმინეობის მიმდევართ, მაგრამ პირველ საუკუნეებში ქრისტიანობის მიღების შემდეგ ქართველი მეფეები და ეპისკოპოსები ცდილობდნენ ქართველებისთვის დაეკვიწებინათ ძველი დრო კრძალ-მსახურებისა. იქნება ამ აზრით განიზრახეს ქართულ ანბანის შეცვლა და რადგან მესროფმა გამოიჩინა თავი სომხეთში, იქნება ის მოიწვიეს, როგორც გამოცდილი კაცი და მან უჩინა მრგვალის სახეობის მაგიერად სწორე შემოქმედოთ. ესეც შესაძლებელია, რომ სწორე სახეობი მრგვალისაგან წარმოსდგენ თავისითვე. ეს შეიძლებადა ასე მომხდარიყო: ქრისტიანობის წინადა ქართველებს ეკლესიები არა ჰქონდათ; შემდეგ ქრისტეს რჯულის მიღებისა, ააშენეს მრავალი ეკლესიები; ეკლესიებზედ საჭირო იყო ზედ-წარწერა; და კედლებზედ წერა ბევრად უფრო მარჯვეა სწორე სახეობით ვიდრე მრგვალებით.

ზემოხსენებულის გამო ჩვენ ვბუდავთ და ვამტკიცებთ სამს სავანს:

1) საქართველოში ანბანი შემოღებულ იქმნა მეფე ფარნაოზისაგან, მეოთხე საუკუნის ბოლოს, ან მესამე საუკუნის დასაწყისში ქრისტეს წინადა;

2) სურთრი ანბანი იგივე მხედრული ანბანია, მხოლოდ შეცვლილი, და

3) მესროფმა, თუ მიიღო რამე მონაწილეობა სურთრის ანბანის შემოღებაში. მიიღო მხოლოდ ესა, რომ არჩია მხედრულ ასოებში მრგვალის სახეობის მაგიერად სწორე სახეობით ეწერათ.

ხალხური ლექსები.

(ზემო იმერეთში შეკრებილთაგანი).

I

გაზაფხულისა ჰინწკდა ხეს ფურცელი გამოუგა;
კაცი რომ გაღარბდება, თავში ჭკუა გამოუგა,
ზოგს ძილად გარდაქცევა, ზოგსაც ძილი ან მოუგა
რა ჭქნას კარგმა მონადრემა თუ დროს შაში¹⁾ ან მოუგა?

II

სიბერე მახლავს, დავლიე სიუმაწვილის დღენია,
ხან ავად ვიყავ, ხან კარგად, მაგრამ ის არა მწყინია!
ხან დავდიოდი ქვევითად, ხან მყავდა კარგი ცხენია,
სოფელი კაცსა გამოცდის, ამისი არა მრცხვენია!!

III

სიბერე ასე ძნელია, საღს ვლდესა შეეწონების,
დაჯდების, ველარ ადგების, არგანისა დაეგვანების;
სიბერე გულზე მჯიღს იკრავს, სიურმე რომ მოაგონდების;
რა გინდა, რომ კარგი უნდა სთქვას, ყმაწვილს ან მოეწონების.

¹⁾ ზოგან ამბობენ «თუ დუ-შაში»-ო «თუ დროს შაშის» მაგიერ.

ლიტერატურული ზმანიზმები.

(ერუსეთის ეხლანდელი მდგომარეობა» გ. თ-ისა «ივერია» № 4,
«შინაური მიმოხილვა» «ივერია» № 5. «თავიდგან თუ ბოლოდგან?»
გ. ყიფშიძისა. «იმედი» № 5.)

ამ შენიშვნებს წარუდგენთ მკითხველებს რეგორც უბ-
რადღა საუბარს ზოგიერთა ჩვენ ყურნალებში დაბეჭდილ წე-
რილებზე, და ვივიქრობთ რომ, დრო გამომშვებით ამ გვარი
საუბარი მკითხველთან უაღაგა არ იქნება, მეტადრე იმისთა-
ნა საგნებზე, რომელნიც ჩვენთვის ჯერ ნაკლებად არიან გა-
მომკვლეულნი. ამისთანა საგნებთ ჩვენ მიგვანჩნია სხვათა შო-
რის იგინი, რომელთ შესასებაც დაწინაგობენ ზემოდ ამოწე-
რილი სტატები. უაღაგა არ იქნება ამისთანა საუბრები იმის-
თვის რომ, ერთსა და იმავე საგანზე გამოითქმება სხვა-და-
სხვა აზრი და მხოლოდ ამ საშუალებით შესაძლოა ჭეშმარი-
ტის აზრის დადგენა.

წელს «ივერიაში» რადენიმე სტატია იყო დაბეჭდილი
ერუსეთის მდგომარეობის შესახებ, მკვანამ, სამწუხაროდ, კერც
ერთს მათგანში ავტორებმა კერ გამოხატეს ვრცლად და ნამ-
დვილად ერუსეთის მდგომარეობა, მისი სენი და გაჭირვება. ამ
გარემოების მიზეზი არის უიერო თვით მწერლობის არაფრად
სანატრელი მდგომარეობა ერუსეთში, განსაკუთრებით ზოგინ-

ციაში და ნამეტნავად ჩვენს დაღმრთებულ საქართველოში.

ამიტომაც მწერლები ისევე მიდებ - მოდებით წერას არ-
ჩვევენ, აღიზნებ ცოტა რამე მაინც აწინააღმდეგებენ და
მათ თავიანთი გულის-წადილი ცოტათიც აწინააღმდეგებენ.
თუ კაცმა დაიკვირა სადა სწერს, ვისთვის სწერს და თავისი
აზრი სრულად გამოხატავს, მაშინ მის ნაწერებს უძიებენ და
ფრთხილი შეკითხვები და იქნება სრულიად ამოხდის.

სწორედ მწერლობისთვის ყოფილა მოგონილი პრინცი-
პის ლოგინი, რომელსაც მალაქს კაცს თავს ან ფეხებს
აჭრიდენ და დახვას იმდენს გასცემდნენ, რომ ლოგინის სი-
ბე გავსდებოდა.

ესაა ჩვენ ჩვენი მსოფლიო კვლევებით რამე აღიზნებით
გამოვთქვით ჩვენი აზრი შემოხსენებულ საგნებზე...

ერთი ჩვენი სტატია («ივერია» № 3) დაუბოლოვებელი ჩვენ-
და უნებურად შექმნილი სიტუაციით: «ლოგინის-მედიკოსის გამ-
გებლობის დროს რევოლუციონერების მოქმედება თითქმის
შეწყდა, თითქმის სოციალისტების პარტია დაძაბუნდა ბრძო-
ლაში, მიწასთან გასწორდა...» მკითხველი მიხვდება ჩვენს
აზრს.

რისთვის ვერ მოხერხდა ლოგინის-მედიკოსის სოციალისტ-
ების პარტია და რა საშუალებით ებრძოდა მას? 2 აზრის
შემდეგ, როდესაც სოციალიზმმა ესროლა ხელში ივერს დაძაბუნდა,
როგორც მკითხველმა უნდა იცოდეს, რუსეთი დაიწყო რადი-
კალური სამხედრო საგუბერნატორთა, რომელთაც სრული უფ-
ლებით განუბრუნებენ გუბერნატორები. ლოგინის-მედიკოსი, რო-
გორც ერთი გენერალ-გუბერნატორთაგანი, განსწავლდებოდა სხვა
თავის მოძებნისაგან იმითი, რომ დახვდა «მშვიდობიან პო-
ლიტიკას» და სხვები კი სასტიკის ზომების მომხრენი იყვნენ.

როდესაც ესენი არ ზოგადდენ სოციალისტებს, ლორის-მელიქოვი (ხარკოვის გუბერნატორი) ცოტათი უფრო აბიჯად ეპყრობოდა რევოლუციონერებს, მაგალითად სიკვდილით დასჯის მაგიერ ბრალდებული იგზავნებოდა კატორგაში ათის, თხუთმეტის წლით.

რუსეთის მართებლობა თითქმის სწავიდა, რომელი სისტემა სჯობდა, ლორის-მელიქოვისა თუ ტოტლებენისა და ჩერტოკოვისა, თუმცა კი მათი სისტემები პრინციპიალურად სრულად არ განიხილდნენ ერთმანეთისაგან. გარდა ამისა, ისინი უნდა შექნიშნოთ, რომ ხარკოვის გუბერნიას სხვა რევოლუციონერთა ცენტრებს ვერ შეედრებოდა, აქ უფრო ნაკლებად იყვნენ სოციალისტები. ბოლოს ისე გამოჩნდა, თითქმის ლორის-მელიქოვი თავის ს.მ.კ.ლ.ბ.კ.ლ.ში სოციალისტების მოქმედება მოსპო და ის მხარე გჭკუუნს რევოლუციურ სენისაგან. . . .

ლორის-მელიქოვი სხვათნაირ ვერ მოქცეოდა, რადგანაც ხარკოვის გუბერნიას ექვემდებარებოდა მთელს რუსეთში შემოღებულს კანონებს და განცალკევებულს მხარეს, არ შეადგენდა. მერმე, როდესაც ლორის-მელიქოვი დაინიშნა ჯერ უზენაეს კომისიის თავმჯდომარეთ და მასუკან შინაგან საქმეთა მინისტრათ, იგი მიხედა იმავე პრინციპს, რომელსაც ხარკოვის გუბერნიასში ადგა. რუსულ ყურნალ-გაზეთები ძალიან იმედოვნებდნენ ლორის-მელიქოვის, რომლის გამგებლობა რუსეთს ჰპირდებოდა ახალს ერას... ლორის-მელიქოვი შეტყუვლიძა სხვა-და სხვა დიდის უფლებით, განაგრძო რუსეთის განუწყობა თავისებურად. მან გააუქმა მესამე განყოფილება და მისი საქმეები გარდასცა შინაგან საქმეთა სამინისტროს ე. ი. მილოთაის-თავსე. მართალი რომ ვსთქვათ მესამე განყოფილების

სული და გული არ მოსპობილა და ეს შეუძლებელიც იყო, რადგანაც ამისთანა საქმე წინააღმდეგო იქნებოდა მთელის რუსეთის კანონ-მდებლობისა. მაშასადამე ამ მოქმედებამ ღირსი-მელიქოვისამ თითქმის უნაყოფოდ ჩაიარა და მხოლოდ დროებით დააშოშმინა ხალხი. . . .

მერმე იგი შეუდგა პოლიტიკურ დამნაშავეთა ყოფის გაუმჯობესებას, რომლებითაც მოფენილი იყო მთელი ციმიბირი და სავსე იყო ციხეები; მაგრამ არც ანათეური აქ გამოვიდა და არ გამოვიდა აი რა მიზეზით: რა უნდა იყოს, მკვლითად, ერთის გუბერნიადგან მეორე გუბერნიასში გარდაყვანა პოლიტიკურ ბრალდებულისა და ესეც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივი მთავრობა იმაზედ კარგის აზრისაა? სრულიად კი მხოლოდ უმცირესი ნაწილი გაანთავისუფლეს, რომელიც აჩასადეს არა რეკია პოლიტიკურ საქმეებში და მართლად აღმინისტრაციის შეცდომის მსხვერპლი იყო. მრავალს სტუდენტს, უბრალო მიზეზებისთვის სწავლას მოშორებულს, მიეცა უფლება დაბრუნებისა და სასწავლებელში შესვლისა, მაგრამ, როგორც ვიცით გასეთებიდან, ამ ბედნიერებას ვღირსად უმცირესი ნაწილი

როგორც მეთისველს მოესხებება, რუსეთის ლიტერატურის მდგომარეობა მეტად შევიწროებული ჯდომნებრივია. ღირსი-მელიქოვის გამკვებლობის დროს, იწყეს ღაშაჩკვი ლიტერატურის ყოფის გაუმჯობესებაზედ, ვითომ მისთვის უნდა დათ მიენიჭებინათ თავისუფლება, მაგრამ ესეც ვერ აღსრულდა. მართლაც-და რად მიეცემოდა უბინატესობა ერთს რომელიცამე დასს ან წოდებას . . . ეს არ შეეთანხმებოდა რუსეთის ცხოვრების წყობილებას. . . .

ეს ადრევე უნდა გამოეცნო ლიტერატურას და სასოვა-

დოებს, მაგრამ მან ვერ შესძლო საქმის ნამდვილად გამოკვლევა, მიუცა სიხარულს, ოცნებებს, ეგებ რაღაც ვაპროპოზაციას.

შეეძლო თუ არა ღორის-მელაქოვს სხვა-ფრივ ემოქმედნა? არა, რადგანაც იგი იდგა იმავე ნიადაგზე. რომელზედაც იდგნენ სხვა მკურნალები. ღორის-მელაქოვის და საბურთალოს მოქმედებამ კიდევ ერთხელ ხათლად დაგვიმტკიცა ის ისტორიული ტექნიკა, რომ კერძო წოდებით და მადამოს წასმით არ შეიძლება განიკურნოს ის სენი ორგანიზმისა, რომელიც მას ძვალ-რბილში გასჯდომია... ღორის-მელაქოვს, როგორც დიდის ნაჭის პეტროსს, უნდა სტოღნოდა რომ მაც წოდებით არა განიკუდებოდან; იქნება კიდევ იცოდან და უნდოდან სელ-ნელა შეეცვალა რუსეთის წუობილება, მაგრამ მართოდ შემომრბა არ გამოდგა. ღორის-მელაქოვმა ხელმწიფის საკვდილის შემდეგ დაანება თავი სამსახურს, ან მისთვის რომ დაწმუნდა თავის პროგრამის უნაყოფობას, ან არა და ვერ სძლია თავის მონიერდანიებებს.

*
*
*

«ივერიის» მესოთე ნომერში დაბეჭდილი იყო შინაური მიმოხილვა, რომელშიაც სხვათა შორის იყო დახანჯი უარ-მყოფელს მიმართულებასე რუსეთში, იმის ჩვენში გარდმოტანასხედ და იმასე თუ რას უნდა მისდევდეს ჩვენი ინტელიგენცია, რა გზას უნდა დაადგეს იგი ჩვენის ხალხის კეთილ-დღეობისათვის. ბრინჯიზი-აღუად ჩვენ ამ სტატიის წინააღმდეგ არაფერს არ ვიტყვი; ჩვენ გვსურს მხოლოდ განვმარტოთ სტატიის დედა-აზრი და ჩვენი აზრი წარმოვსთქვათ უარ-მყოფელს მიმართულებასე უარ-მყოფელი მიმართულება რუსეთში დაიწყო «Современникъ»-მა, რომლის უბთავრესი წარმომად-

გენელთაგანი იყო სახელგანთი დობროლიუბოვი. მისუგან კი ამ მიმართულებას წარმოადგენდა ყურნალი «Русское Слово» და მისი თანამშრომელი ზისარევი. Современник-ის და ზისარევის უარყოფილობასუდ თითქმის ყველანი და მათ შორის შემოხსენებულ სტატიის ავტორიც ერთისა და იმავე აზრისა არიან: ამ ორ ლიტერატურულ ბანაკს შუა სდებენ სამხედვარს ჭერთი-ერთმანერთის წინააღმდეგათ მიახნიათ. Современник-ის უარყოფილობა ნამდვილი საყოფაერი უარყოფილობა ჭერთი და ზისარევის კი შემცდარი მიმართულება და ხშირად მკვებელიც. ჩვენ ვუიჭრობთ, რომ ეს აზრი შემცდარი აზრია და ვერდებით ვიდრე დაკამტვიცოთ. იმ ორ ბანაკს შუა ხაზის გაყვანა შეიძლება და საჭიროც არის, რადგანაც იგინი შეადგენენ ორ ლიტერატურულ ზერიოდს, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ჭერთიდათ რუსეთის საზოგადოებისთვის. ამასუ ვიდრე მისთვის არის საჭირო მოლაზარაკება, რომ Современник-მა მინც დიდი გავლენა იქონია ჩვენს მწერლობასუ.

რუსეთი მესამეც წლამდე წარმოგვიდგენდა მონურს. ბნელს ქვეყანას; როდესაც მოაწია დრომ რეფორმებისამ და რუსეთის განახლებისამ. იწყო ვიდრე თავის მოქმედება დობროლიუბოვი; უმთავრეს რეფორმათ, სასაკვირველია, უნდა ხართვალეს ბატონ-ყმობის გაუქმება, რომელსუდაც უნდა დამყარებულყოფი ყველა სხვა რეფორმები. შეიძინა რუსეთის საზოგადოება და ლიტერატურა, გამოვიდა ასწარესუ დობროლიუბოვი და შეიქმნა საღისის დამცველათ, იმ საღისის, რომელიც წოდენიძე საუკუნების განმავლობაში იყო დახატული და მოკლებული ყოველ კაცობრიულ უფლებებსა. დობროლიუბოვი იტვირთა თავის-თავსუ ამ საღისის დაცვა და მთელი თავისი შრომა მოახდომა იმ ქადაგებას, რომ უბრალო საღისი

შეადგენს უმთავრესს ძალას რუსეთისას, რომ ის მოკლებული არ არის კაცობრიულ თვისებებს და შეუძლიან წარმატება; დობროლიუბოვი ჰმაულობდა ხალხში მძლავრს, ცოცხალ ელემენტებს, რომელნიც შეადგენენ ხალხის კეთილ-დღეობის და წარმატების საძირკველს, დობროლიუბოვი ამტკიცებდა რომ ხალხი ზნეობით გარყვნილი და გონებით დაცემული არ არის, თუძცა აღიარებდა მის სრულს უძეტრებას, სიღარიბეს და დასჯრულობას. ის ამტკიცებდა, რომ ხალხს მოკლის ბედნიერი მომავალი და შეუძლებელად რაცხდა ხალხის დაცემას იმ ხარისხამდე, რომ მას არ შეეძლოს წინ-სვლა. დობროლიუბოვი სრულ ამ აზრებს ჰქადაგებდა და ამტკიცებდა მათ სხვადასხვა თხზულებების გარჩევით; მან იშოვა «შუქი სინათლისა ბნელის სამეფოში» ოსტროუსკის პიესებში, იმის დასამტკიცებლად, რომ ხალხში ღვივის განუქრობელი ცეცხლი კეთილისაო. ხალხის ყოველსავე უბედურებას დობროლიუბოვი სდებდა ბრალად იმისი ცხოვრების გარემოებას; შესცავლეთ ხალხის სოციალური მდგომარეობა, ამბობდა დობროლიუბოვი, და ხალხი წინ წაიწევა და გაბედნიერდება. დობროლიუბოვის ჰადაგებამ იშოვა ბევრი მომხრე და საზოგადოებას გაუჭადა ტვინში. დღესაც კი საგრძნობელია დობროლიუბოვის გავლენა ლიტერატურაში.

როდესაც შემოიღეს რეფორმები, სხვადასხვა წოდებებმა ცვალებას ადგილი, რადგანაც მათის ცხოვრების გარემოება შეიცვალა. ყველა წოდებას მიეცა უფლება, ერთი-ერთმანერთისაგან დამოუკიდებელი მდგომარეობა; ამის განსწორციელებისათვის საჭირო იყო, სხვათა შორის, ხალხის გონების განხნა; ბატონ-ყმობის დროს იგი წარმოადგენდა თითქმის ზიზუტყვის გონებით, ესდგა კი მას მიეცა თავისუფლება, და ამისათვის სა-

ჭირთა იყო განათლება. თავად-აზნაურობასაც წაერთვა გლეხი, რომელიც შეადგენდა მის ცხოვრების და კეთილ-დღეობის საშუალებას; მას უნდა ეთიქრა თავის მდგომარეობასე და ცხოვრებასე, ტვინი უნდა ემუშავებინა და ამასაც დასჭირდა განათლება. ერთის სიტყვით ატყდა დიდი გონებითი მოძრაობა: უგელა წოდებას უნდა მიეღო მონაწილეობა რუსეთის წინმსვლელობაში; თავად-აზნაურობის საუკეთესო ნაწილი შეადგენდა მამინდელს ინტელიგენციას და იყო რეჟიმების უომსრე; ამ წრემ როგორც უფრო განათლებულმა და ხალხის კეთილის მსურველმა განიზრახა რუსეთის საქმეებში მონაწილეობის მიღება და ხალხის წინ გაძღოლა.

აი, ამ დროს გამოვიდა ლიტერატურულ ასპარეზზე მჭევრ-მეტყველი და დიდად ნიჭიერი მწერალი პისარევი, რომელიც შეიქმნა წარმომადგენელი თავად-აზნაურულ ინტელიგენციისა, რომელსაც აქამოდე არ მიეღო მონაწილეობა ხალხის წარმატებაში. ამისათვის პისარევს ლიტერატურაში დაერქვა «შემნანიებელი აზნაური.» პისარევმა სულ სხვაგვარი იწყობა დატოვა: წინააღმდეგ დობროლიუბვისა, ის ამტკიცებდა, რომ ხალხში არავითარი ცოცხალი, მართალი ელემენტი არ არსებობს, და ამის გამო მას თავის-თავად წარმატება არ შეუძლიანო; ხალხი ჩაიფლული არის სიღატაკში, უმეცრებაში და გარყვნილია ბატონ-ყმობისაგანაო. პისარევი ამტკიცებდა წინააღმდეგ დობროლიუბვისა, რომ კატრინა ოსტროვსკის პიესაში ნამდვილი ტიპი არ არისო და არ დაერქმის «სინათლის შუქი ბნელის სამეფოში»; რომ გარყვნილი და უმეცარი წრე. რომელსაც გვიხატავს ოსტროვსკი თავის თხზულებაში, კერძოდ აღმოჩნდება პეტროსანს და გაურყენელს კაცსაო; ვსთქვათ,

რომ კატერინა იმისთანადაც იყოს, როგორსაც ჰკითხავს, არც მასინ იქნება იგი ლამაზი სინათლისა.

მას რა ეშველება სალხისა? ამასე დახლოებით შეძგეტ მას-უხს გვადლეგდა პისარევი. ყოველი საქმე უნდა იგისროს ინტელიგენციამ და ის უნდა შეუდგეს სალხის ძღვომარეობის გაუმჯობესობასა. ქაჩხის პატრონი, მღვდელი, დიდი და პატარა ჩინოვნიკი, ექიმი, ყველა უნდა შეუდგეს საზოგადო საქმეებსა, იმიტომ კი არა, რომ ამას მოითხოვს მათი სალხის წინაშე მოვალეობა, ან კაცობრიობის სიყვარულით, არამედ იმიტომ რომ ეს თვით მათივე პირადის ინტერესის საქმეა. მასინ არის კაცი ბედნიერი. თუ მისი მოძქენიც ბედნიერნი იქნებიან. მაგალითად თუ თქვენ ექიმი ხართ, თქვენ თქვენის კეთილ-დღეობისათვის უნდა ეცადეთ. კარგად შეასრულეთ თქვენი მოვალეობა; ეს თქვენ პირდაპირ დაგაკმაყოფილებთ და სხვებსაცა; თუ თქვენ ქაჩხის პატრონი ხართ, თქვენი ინტერესები მოითხოვს, რომ მუშებს კარგად მოეწყონ, უამაგირი არ შეუძინონ და კარგი საქონელი დაამზადონ; მასინ მუშები უფრო წახალისდებიან, თქვენი ინტერესიც დატული იქნება, არც თქვენი სულ-ქვეითნი იქნებიან და ხაგრულნი და წაგებაში და არც თქვენი მუშტრები. თქვენ, ინტელიგენციადამ გამოხული კაცი უნდა ცდილობდეთ თქვენის პირიქების წყობით და გონებით შემუშავებასა; მასინ გაიგებთ თქვენ თქვენს ინტერესებსა და თქვენი ბედნიერებაც დამყარდება; და თუ ცალკე პირნი ბედნიერნი იქნებიან, მასინ საზოგადოებაც ბედნიერი იქნება, რადგან საზოგადოება ცალკე პირთაგან შესდგება.

კაცის გონების უმთავრეს განმავითარებელ ძალათ პისარეკს მიანდა ბუნების მეტყველების შესწავლა და მისი გავრცე-

ღება; თვითონაც კი ხელი მოჰკიდეს ამ საქმეს. ერთის სიტყვით
 მისარეკი ხალხის კეთილ-დღეობას ამყარებდა რიგინად გზე-
 ბულ ეგოიზმზე, თავის-მოყვარეობაზე; დობროღლიუბოვი კი
 საზოგადო გარემოებაზე და ხალხის სოციალურ ყოფის შეც-
 ვლაზე.

კინ ადგას ამ ორს მწერალში ნამდვილს, სასარგებლო
 გზას? მინიციზილურად ორივე მართალი იყვნენ და ემსა-
 ხურებოდნენ ერთსა და იმავე უარყოფილ მიმართულებას,
 თუმცა კი იდგნენ სხვა-და სხვა საფუძველზე. დობროღლიუ-
 ბოვის აზრი ხალხზე, მის თვისებებზე, მისი სრული რწმენა
 ხალხისადმი შეადგენენ ისეთს ჭეშმარიტებას, რომელზედაც ეჭ-
 ვის ალება შეუძლებელია. მისარეკის ურწმუნოება ხალხისადმი,
 რასაკვირველია, დიდი ცოდვაა არა მარტო მისარეკისათვის,
 არამედ მთელ იმ წოდებისათვის, რომლის წარმომადგენელი
 იყო იგი, მაგრამ, მისარეკის აზრი პიროვნების ზნეობით და
 გონებით შემუშავებაზე სწორედ სამართლიანი და სანატრელია
 და აუნიღებელიც არის, რომ ინტელიგენციამ მიიღოს მონა-
 წილეობა საზოგადო და საქვეყნო საქმეებში; ისიც დიდად სა-
 ნატრელია, რომ კაცს ყოველი საზოგადო საქმე და ინტერე-
 სი მიახნდეს თავის საკუთარ საქმეთ, ინტერესათ და ისე შე-
 სრუდეს გული საზოგადოებისა და ხალხისათვის, როგორც
 თავის-თავისთვის.

დობროღლიუბოვისა და მისარეკის აზრები, რომ შეერთ-
 დენ, დამყარდება შემდეგი ჭეშმარიტებ: ყველა წოდებას უნ-
 და მიეცეს ადგილი ქვეყანაზე და ყველამ უნდა მიიღოს მონა-
 წილეობა კანონრიობის წინ-სვლაში; უსიამოდ ჩამდგილი პო-
 გრესი არ არსებობს და ან ამ ზემოდ-ხსენებულ მოსაზრების
 ძალით ჩვენ არ შეგვიძლიან ვთქვათ, ვითომც მისარეკის უარ-

მყოფლობა ნამდვილ გზიდვან გადმოვიდა და მისმა მოქმედებამ კნებაც მოიტანა.

შისარკვეის მოქმედებამ აღძრა საზოგადოებაში სიყვარული ბუნების მეტეორელებისადმი და მკითხველის გონება ნიადაგ მუშაობაში იყო იმის სტატიების გავლენის ქვეშ. მართლაც, შისარკვემა ბევრს ახალ-გაზდას მოაკიდებინა ხელი ბუნების მეტეორეებისათვის, რომელსაც დღეს საშატიო ადგილი უჭირავს რუსეთის გონების მოძრაობაში. რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მეტეორეებს კაცობრიობის განვითარებისათვის, მისვლება ყველა, ვინც გაისხენებს, თუ როგორი მონაწილეობა მიიღო ამის შესწავლამ და გავრცელებამ საფრანგეთის დიდ-რეკოლომაციის დამზადების დროს.

ესლა მოვილაშაწკოთ შისარკვეის ზოგოერთა უგიდურეს აწრებზე, რომელთაც, «შინაური მიმომხილვის» ავტორის სიტყვით, იქონიეს ცუდი გავლენა ჩვენის ახალ-გაზდობის ერთს ნაწილზე. შისარკვეის «გადაჭარბებულმა უარ-ყოფამ იქამდე მიუშვა სადავე, რომ უარ-ჭყო თვით შუშკინის მოღვაწეობა ჭ მთელს შექსშირს ერთი კაი სიგარა ამჯობინა» ამბობს შინაური მიმომხილველი. ამისთანა აწრების წარმოთქმა შისარკვეისაგან მართლაც-და უგიდურესობა იყო, მაგრამ როდესაც ჩვენ იმისთანა მწერაწრე ვსჯით, როგორიც შისარკვეია, დიდი მნიშვნელობა არ უნდა მივაწეროთ მის მეტადობებს, მეტადრე იმისთანებს, რომელთაც ხანგრძლივი გავლენა არა ქქონიით არც ლიტერატურაში, არც საზოგადოებაში. როდესაც ჩვენ ვლანაწკობთ შრუდონზე და კონტზე, ჩვენ მსუდგელობაში არ უნდა გვქონდეს მათი კაცის დირსების დამამდაბლებელი აწრი ქალის დანიშნულებაზე; იმათ სწვაფრვი იმდენი სარგებლობა მოუტანეს კაცობრიობას, რომ ამ გვარს უბადრუეს აწრს შე-

იმღებს სრულებით ყურადღება ან მივაქციათ: ანც პისარევი-
 ზედ გვმართებს სჯა იმისი შეცდომების კვალბაზედ. ვიმეო-
 რებთ, მისმა შემცდარმა აზრმა იქ ფუჭად ჩაიარა, რომ 1880
 წელს, ჰუშეინის იუბილეის წინა დღეებში, მხოლოდ ერთმა
 რუსულმა გაზეთმა გაიმეორა ჰუშეინზე დახლოვებით პისარე-
 ვის აზრი.

მართალია, პისარევი მეტად უწყალოდ ეპყრობოდა ჰოე-
 ტებს, მაგრამ მაინც იმას ან-ს დროს ან უთქვამს: «ჰოეზია
 და სელაენება რა ჭკვიანი კაცის საქმეა». ჰოეტი პისარევის
 აზრით,

მისთვის ან ძღერს, რომ იმღეროს ვით ფრინველმა გა-
 ეგანმა,

ანა მარტო ტიბელ ხმებისთვის გამოგზავნა ქვეყნად ცაძა.

ჩვენს ლიტერატურაშიაც ანავის გამოუთქვამს ამისთანა
 უშეკერი აზრი პოეზიაზე და სელაენებაზე, როგორცაც შინა-
 ური მიმომხილველი პისარევის აწერს და ამის გამო ავტორი
 ცოტა უსაფუძვლოთ მოგვიდების ის, ცხარედ ამ საგანს. იქნე-
 ბა ოთხიოდ-სუთიოდ პირი ვი იყოს ამ აზრისა, ისაც ლიტე-
 რატურას გარეშე მდგომნი, მ გრამ მ:თზე ლაზარაკი ანა ღირს.
 ანც ესა სხ.ნს პისარევის თხზულებებიდან ვითომც «მარტო
 გლეხისა ადამიანი და თავადი და აზნაური ვი ანაო.» ვინც გა-
 ინსენებს იმას, რაც ზემოდა ვ'თქვი პისარევის მიმართულება-
 ზედ, ის უეჭველად დამეთანხმება. ანც მაგისთანა აზრი გა-
 მოთქმულა ჩვენს ლიტერატურაში და თუ ანაებდას მაგისთ ნა
 აზრი რომელსამე წრეში, ეს პისარევის გაკლენის საქმე ან
 ანის, რადგანაც ჩვენს ლიტერატურას პისარევის გაკლენა
 ძლიერ ან დასტუობია. კიდევ ვიმეორებთ — ის ცრუ-ლიბერა-
 ლები, რომელთაც შინაური მიმომხილველი ჭკიცხავს, სასსენე-

ბელნიც არ არიან. რადგანაც კერ გზა არ გაუკაფავთ ლიტ-
რატურაში და სრული იმედია, რომ დღეის იქით უფრო კერ
გაიკაფებენ.

შინაური მიმომხილველი თავის წერილში ღაპანაკობს აგ-
რეთვე ჩვენის ახალგაზდობის დანიშნულებას და გვიხატავს
მოკლედ იმ პირობას, რომელსაც იგი უნდა დაადგეს. საღ-
ხის კეთილ-დღეობისათვის უპირველესი ჩვენი საქმე არის, აგ-
ტორის სიტყვით. ჩვენის «დაცემული ვინაობის აღდგენა»,
«სხვა საგანი ამასე უსაჭიროესი, უძმიესი არა აქვს საქარ-
თველს შვილს», «ყოველ ჩვენგანის მოქმედების საწყის, სა-
ზოგადო საქმეებში, თუ ლიტერატურაში, მართლ ის უნდა
იყოს, თუ ვინ რამდენად ასრულებს და მისდევს ამ ჩვენთვის
მიუტყულებელს საგანს და გზას!» მაგრამ სანამ ამ გზას და-
ადგებოდეს ახალ-გაზდობა, საჭიროა რომ მას «ძირუფად
შეისწავლოს ევროპული მეცნიერება, წინ გაიმძღვაროს ევრო-
პული გამოცდილება და ამ თოჯინადად შეუდგეს ჩვენის
ქვეყნის საქმეს.» ამ აზრების ჩვენ სრული თანხმად ვართ და
გვსურს მხოლოდ განვმარტოთ იგინი.

საღხის კეთილ-დღეობის მისაღწევად ბევრი რამ არის
საჭირო; ერთის რამე საშუალებით ის კერ მოიპოვება. უკე-
ლა უნდა მოუსვენრად მიიღტვოდეს ამ საქმისადმი, მაგრამ
დრო და ვითარებაზე არის დამოკიდებული, რომელ საგანს მი-
ეცება უპირატესობა. დრო წამოაყენებს ერთს რომელსამე სა-
განს და ვიდრემდის ეს საგანი შესრულდება, მას უჭირავს პირ-
ველი ადგილი. მერმე ვი გამოვა სტენასზე სხვა რომელიმე სა-
განი და სხვ. და სხვ. მაგალითად, დღეს უმთავრესი მნიშვნე-
ლობა აქვს ჩვენთვის ჩვენის ენაობის დაცვას, ამიტომ რომ
ამ საგანს ყოველი ქართველი, რა წოდებისაც უნდა იყოს იგი,

გრძნობს და ელტვის. ყველა ლიტერატურული ჰერტიკები (თუ
 კი არსებობენ ჩვენში) მაგ ნიადაგზე მორიგდებიან. გარდა ამი-
 ს ჩვენის ვინაობის დაცვა რომ საჭიროა ხალხის კეთილ-დღე-
 -ობისათვის, ამას ყველა ადვილად გაიგებს, ისტორია გვასწავ-
 -ლის, რომ იმ ხალხებს, რომელნიც კაცობრიობის წინ მიდიან,
 დატყუდი აქვთ თავიანთი ვინაობა, რომელიც შექმნილა მათის
 წარმატების ერთი მიზეზთაგანი. ჩვენთვის რომ საჭიროა, მა-
 გალითად, ჩვენის ენის დაცვა და მისთვის კუთვნილ მნიშვნე-
 -ლობის მინიჭება ყოველ შემთხვევაში და დაწყებულუბაში, ეს
 ყველასთვის ცხადია; ენა რომ შეადგენს ხალხის წარმატების
 ძალას. ესეც ნამდვილია. რომ საჭიროა ჩვენთვის ჩვენვე
 განკარგვდეთ ყოველსავე ჩვენს საქმეს, ესეც ჭეშმარიტებაა,
 რადგანაც, როგორც გვასწავლის სხვა ხალხების ცნობრება,
 უამისოდ შეუძლებელია ნამდვილი პროგრესი. ყოველს ჩვენს
 უბედურებას, მაგალითად. ხალხის გაუნათლებლობას და მის
 სიღარიბეს აქვს მტკიცე კავშირი ჩვენის ვინაობის დაჩაგრუ-
 -ლობასთან

მოგონი. ყოველივე რაც ვითქვი, დღესეუდ უფრო ცხადია.

ჩვენი ახალ-გაზდობა, რომელიც უძღვეს სასწავლებლებში
 იმყოფება. უნდა შეიჭურვოს მეცნიერებით, ფილოსოფიურ გა-
 -ნათლებით, ვრცელის თეორიით გახვითარებით, რომ მას
 შეეძლოს ცნობრების მოკვლენათა კავშირის გაგება და ჩვენის
 სამშობლოს შესწავლა.

ამ წინადადებას ჩვენ უფრო ვრცლად გავარჩევთ და ამი-
 სათვის არ შეგვიძლიან არ გადავკლათ თვალი იმ სტატეებს.
 რომელნიც დაბეჭდილნი იყვნენ წელს «დროებაში» და «იმე-
 -დის» მესხეთე ნომერში («თავიდან თუ ბოლოდან?» გ.
 უიუშიძისა.) ჩვენ მოკლედ განვიმეორებთ იმას, რაც ითქვას

«დროებაში» და უფრო ვრცლად ყიფშიძის სტატიას, რადგანაც ეს სტატია შესანიშნავია სხვა-და-სხვა თავის თვისებებით.

*
*

ერთმა ჩვენმა ახალ-გაზდამ, ს. ლ—ემ წარმოთქვა «დროებაში» ის აზრი, რომ უმაღლეს სასწავლებელში მეოფეს ჩვენს ახალ-გაზდობას შეუძლიან სწეროს ჭიგიენური დარიგებები, ისტორიული, ეკონომიური და ეტნოგრაფიული ბროშიურები ჩვენის ცხოვრების შესახებ. მე ვუპასუხე ს. ლ—ს და ვუმტკიცებდი, რომ მაგ გვარ ბროშიურების წერა ჩვენს ახალ-გაზდობას არ შეუძლიან; რომ ჩვენი ახალ-გაზდობა იმდენად ვერ იცნობს თავის ქვეყანას; რომ მას არა აქვს საშუალება თვალ-უწი იღვენოს თავის ქვეყნის საქმეებს და ჩვენს ენაზე არ არსებობს მეცნიერული თხზულებები; ის გი, რაც დავუჩინია ჩვენის ქვეყნის შესახებ სხვა-და-სხვა ევროპიულ ენებზე, ძნელად მისაწდომია ჩვენის ახალ-გაზდობისთვის. ჩვენ ვაღვიარებდით იმ მწუხარე მოკლენას, რომ ჩვენი ახალ-გაზდობა არ იკვებება გონებით მშობლიურს ნიადაგზე. ნაცვლად ბ. ს. ლ—ს პრაგმატიკისა ჩვენ ვამტკიცებდით, რომ ახალ-გაზდობას შეუძლია გააცნოს ჩვენს საზოგადოებას რუსეთის ეკონომიური და სოციალური ცხოვრება, მისი ლიტერატურა, მისთვის რომ ჩვენის ქვეყნის ბედ-იღბალი მჭიდროდ არის შეკავშირებული რუსეთის წარმტებასთან, ამ შრომას ვაღათ ვსდებთ ახალ-გაზდობას იმიტომ, რომ ეს ეადვილება თავის მდგომარეობის წყალობით და ამას გარდა ჩვენს ლიტერატურას ბევრი არა გაუგებია-რა, რომ ჩვენს საზოგადოებას რუსეთის ცხოვრებასთან გაეცნო. ჩვენ ვამბობდით, რომ როდესაც ახალ-გაზდობა შეიჭურვება მეცნიერებით და თეორიული განათლებით, მაშინ მას შეუძლიან სკლი მოჰყიდოს ჩვენის

ქვეყნის მეცნიერულად შესწავლასაც და იმაზე მეცნიერულ თხზუ-
ლებების წერასაც.

მაშ საქმე ეს არის, რის გაკეთება შეუძლიან ახალ-გაზ-
დობას სტუდენტობის დროს და ჩვენ მას დაკავალეთ ისეთი
რამ, რაც უფრო ეადვილება, რაც იმის გონებისთვის უფრო
სასარგებლოა და რასაც აქვს კავშირი ჩვენს ცხოვრებასთან.

აი, მოკლედ საგანი ს. ლ—ის და ჩვენის ბასისა.

ესლს თითქმის იმავე საგანზე, რომელზედაც ჩვენ ვლა-
შაზაკობდით, ბ. გ. ყიფშიძეს დაუბეჭდია «იმედში» თავის
მრისხანე და მედიდურობით საესე სტატია, რომელზედაც ჩვენ
უფრო დაწვრილებით მოვილასაზრაკებთ. სოდესაც ჩვენ ეს სტა-
ტია წავიკითხეთ, თვალ-წინ წარმოგვიდგა უსუსური ქმნილება,
რომელსაც რაღაცა აზრები თავში შეუშვია და სახის ღრეჭით
და მანჭვით, ჯიბეში ხელე-ჩაწყობილი, წარბებ შეჭმუსხნილი
სჯის მედიდურად და ლანძღვა-გინებით ყველასზე, ვინც კი იმის
აზრების თანახმა არ არის. თუ კი რამე აზრი სადმე ამო-
კითხნია და რაიმე ქაგტი შეუტყვია, ყველს თავის საკუთარ
ტვინის ნაწარმოები ჭგონია. თქვენც რომ იმისთანს აზრები
წარმოასთქვათ, მსედველობაში არც-კი მიიღებს და შემოდგან
დაგიწუბთ ყურებს. აი, ამისთანს ვაჟ-ბტონს წაუკითხავს ჩე-
ნი სტატეები «დროებაში», განრისხებულს იმაზე, როგორ თუ
ვინმემ გაბედა რასმეს დაწერა იმ საგანზე, რომელზედაც მე ბე-
ჯითი და ჭეშმარიტი აზრები შემიდგენიაო. დაუწერია აჭრე-
ლებული რუსულის და ლათინურის ანდაზებით და სიტყვებით
სტატია იმავე საგნის შესახებ. ამ ვაჟ-ბტონს წარმოუდგენია,
ვითომ ჩვენ აზრითარს მნიშვნელობას არ ვაძლევთ ჩვენის
მშობლიურ ნიადაგის შესწავლას, ვითომც ჩვენ ოცნებასაც კი
კუშლიდეთ ამაებზე ახალ-გაზდობას სტუდენტობის დროს და

მარტო ქელტონისტობას და კორესპონდენტობას ეკავლებდეთ. ეტყობა, ბ. ყიფშიძე წიგნში კი იყურებოდა, მაგრამ ამონაკითხის გაგება ვერ შესძლებია. ჩვენ მხოლოდ იმაზე ვლანძრავობდით, თუ როგორ ძნელია ახალ-გაზდობისათვის რუსეთში შესწავლა ჩვენის სამშობლო ნიადაგისა და როგორ უფრო ადვილია შეისწავლოს მეცნიერება, რუსეთის ცხოვრება, ლიტერატურა, და გააცნოს იგინი ჩვენს საზოგადოებას, ბ. ყიფშიძეს კი წარმოუდგენია, ვითომ ჩვენ წინააღმდეგი ვიყოთ ჩვენი ახალ-გაზდობისაგან ჩვენის ქვეყნის შესწავლისა არა მარტო რუსეთში, არამედ სამშობლოში დაბრუნების შემდეგაც.

რას არის ჩვენი ახალ-გაზდობისათვის უსაჭიროესი საგანი ცხოვრების ველზედ გამოსასვლელად? რასაკვირველია, სინდისიერად თავის სპეციალურ საგნის შესწავლა, ვრცელი თეორეტიული განვითარება და ჩვენი სამშობლო ნიადაგის შესწავლა ყოველივე მხრით. რას მოჰკიდებს ხელი ახალ-გაზდამ ამ სამ საგანში უძალეს სასწავლებელში ყოფნის დროს? უკვლავ ეს საგნები მისთვის ერთნაირად საჭირონი არიან, მაგრამ შეუძლიან თუ არა სამივეს ერთსა და იმავე დროს გამოკიდდოს, ან და რა უფრო ეადვილება რუსეთში და რომლის შესწავლა და შეძენა სად უფრო მოსახერხებელია აქ, რუსეთში, თუ აქ, ჩვენს სამშობლოში? სპეციალურ საგნის შესწავლა რომ საჭიროა, ამის წინააღმდეგ ვერაფერს ვერაფერს იტყვის და მის შესწავლას მოითხოვს თვით ახალ-გაზდობის მდგომარეობა; ვრცელის განათლების და განვითარების შეძენაც რომ აუცილებლად საჭიროა, ამისაც ეტვი არ არის, რადგანაც უამისოდ კაცი ცხოვრებაში უბრალო მონკლე შეიქნება, ვერავითარს თვალ-საჩინო გავლენას ვერ იქონიებს თავის სამშობლოს საქმეებზე და ვერც სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ჩვენის

ხალხის მოთხოვნილებას გაიგებს. ამანზე ბ. ყიფშიძე უსათუოდ უნდა დაშეთანხმოს და მიპასუხოს თავისივე სიტყვებით: «მეცნიერებით შეჭურვის საჭიროების თითქმის ვინააღმდეგია»; მაგრამ მეორე გვერდზედ წახედებს შიშს, ვაითუ «მეცნიერებით შეჭურვილმა ბოკლი, მილი და სპენსერი ისე აურიოს ერთმანერთში, როგორც დომხალი».

საიდგან წარმოსდგება ბ. ყიფშიძის ამისთანა შიში და წინააღმდეგობა? სწორედ სამწუხაროა, როდესაც ხალ-განდა შიშს წახედებს მეცნიერების შეძენაზე; ან და სადაური მეცნიერებით შეჭურვილია, რომლის ტვინში ბოკლი, მილი და სპენსერი ერთად ვერ მოთავსებულა? ამისთანა ვაჟ-ბატონი, დარწმუნებული იყავით, თავისთვისაც ვერაფერს გააკეთებს არამც თუ სამშობლოსათვის იზრუნოს.

რამე სპეციალურ საგნის შესწავლა და ვრცელის განვითარების შექმნა აუცილებლად საჭიროა; ამით შეიძლება უფრო ახალ-გაზდობა უფრო ადვილათ გაიგებს ჩვენის ქვეყნის მდგომარეობას და მოთხოვნილებას; მათი შექმნა რუსეთში უფრო ადვილია, ვიდრე ჩვენში. ჩვენში კი სამშობლო ნადავლის შესწავლა უფრო ადვილია და რუსეთში მყოფლობის დროს სამის კურდღლის ერთ და იმავე დროს გამოვიდება ხელ არ მისცემს ახალ-გაზდობას.

რაც შეეხება თსუელებს, სხვა-და-სხვა ევროპიულ ენებზე დაწერილებს, ამასზე მე იმ აზრისა ვარ, რომ ზოგი მათგანი ხელ-მიუწვდენელია ახალ-გაზდობისათვის, ზოგი კი სრულიად უვარგისი და გამოუდგარი მისთვის; ბ. ყიფშიძე ბძანებს, რომ «ახლად გამომსტარი გმირნი» სრულიად არ ფიქრობენ თავის ქვეყანაზე და მიგვიითებენ მიანსარკვის კატალოგზე ვაკვასიის შესახებ დაწერილ თსუელებათა; თუ ეს ვა-

ტალღი გაღუთვალეუბები: ყიფშიძეს, უნდა იცოდეს, რომ ბეკრი თხზულებები, რომელნიც სწვენები არიან მიანსაროვის კატალოგი, გამოსაყენების ვითარება მასალა და ისიც მკვნიერისათვის, რომელსაც შეუძლია გარჩიოს მათი ღირსება. ან და რისთვის უფიქრია ბ. ყიფშიძეს, ვითომ «ახლად გამომსტარ გმირებს» არ ენასოთ მიანსაროვის კატალოგი და არ გამოყენოთ იგი? ან რომელი ძველად გამომსტარი გმირი ბრძანდება, რომ ეგრე მღღობიდან დაგვეჭქერის და რა უფლებით სჯის ისე შედიდურად სხვებსედ? ბ. ყიფშიძემ დაგვიხატა ჩვენის ახალ-გაზდობის აღზრდის შეუნატრეკლი სურათი, მაგრამ ეს ჭეშმარიტება პირველად არ არის გამოთქმული თვით ჩვენს ლიტერატურაშიაფ იმ თაობისაგან, რომელმაც მიიღო ევროპული განათლება და ამის წყალობით გაიგო თუ რა სენი გააწესებს ჩვენ ქართველებს უსომიოდ. სტდებთან ისინი, რომელნიც არავითარს მნიშვნელობას არ აძლევენ ჩვენს 15—20 წლის ლიტერატურას; ამ ლიტერატურამ გააკვინა ჩვენს საზოგადოებას ჩვენის ვინაობის დაცემა და ჩაუნერგა მას მართალი აზრები დედა-ენის მნიშვნელობაზე. ამ სტრიქონების დამწერს ახსოვს ის დრო, როდესაც ქართველები ქართულს ანაზრავს თავილობდენ და პირველად «დროება» გამოვიდა. სამარცხვინოდ მიანხდათ მისი დაბარება, მარტო ამის გამო რომ ქართული გასუთიანო. ჩვენმა ახალმა ლიტერატურამ აუხილა თვალი საზოგადოებას და გააკვინა თავისი მდგომარეობა.

მართალია ჩვენის ახალ-გაზდობის უმეტრობამ, ცხოვრებაში შესვლისათანაკე, გზას გადუხვია, მაგრამ ამ სამწესრო მოკვლის მიხეტი მარტო მშობლიურ ნიადაგის უცოდინარობა და სხვა უცხო ნიადაგზე აღზდა არ იყო. ეს გარემოება

ერთი მიზეზთაგანია; მართლაც დააკვირდით სხვა ხალხებს, რომელთა ახალ-თაობა იზდება მშობლიურს ნიადაგზე, და აქაც ბევრსაა ნახვით გზა-გადახვეულებს. ამ გარემოების მიზეზებიც ცრუ-განათლება, მოუძნადებლობა.

მშობლიურ ზნის, ჩვეულების შესწავლას და შეთვისებას აქვს მნიშვნელობა, მაგრამ აქაც გადაუჭარბებია ბ. ყიფშიძეს. ტიპიურ იმერელს მისთვის ერთი ამ ანაკთაგანი უამბობს, რომელიც ზნეობით სიბილწეს და გარყვნილობას გვახსენებს; ანდრია მოციქულმა მხოლოდ მაშინ მოიგო მეგრელების გული და დაიწყო ქრისტიანობის ქადაგება მათ შორის, როდესაც მეგრული «ჭყურტული» ზღაპრების შარვა ისწავლავს» (გვ. 112). მეგრული ჭყურტული რომ უსწავლია, ეს მოსაწონია, მაგრამ ქურდობისა კი რა მოგახსენოთ. შესაფერი არაჟი ვერ მოუყვანია ბ. ყიფშიძეს და მე დარწმუნებული ვარ, რომ თვითონვე არ მოიწონებს ამ ანაკის შინაარსს, თუ შეტარებს დაფიქრდება.

ბ. ყიფშიძეს ძალიან შინებია, როგორც სხანს, კორეს-შონდენტობისა და ძელტონისტობისა და ბძანებს რომ ეს ხელობა გააწვრილმანებს ლიტერატურას, შეახერებს მწერლების ლიტერატურულ ნიჭის განვითარებასაც; ამ შრომის უნდა დრო, რომელიც «არა აქვს ახალ-გაზდას, შებოჭვილს სპეციალურის საგნებითაც.» თუ დრო არა აქვს ახალ-გაზდობას ამ შრომისათვის, მაშ რაგორ უნდა შეისწავლოს უფრო შრომის მომდომი და მწელი საგანი, როგორც არის რუსეთში ჩვენი სამშობლო ნიადაგის შესწავლა. ან რისთვის უმინია. კორეს-შონდენტობის და ძელტონისტობისა, რომელიც შეადგენს ერთს განყოფილებას ლიტერატურისას.

რას უნდა უამბოს რუსეთში მყოფმა ახალ-გაზდობამ ჩვენს საზოგადოებას რუსეთზე იმისთანა, რაც ჩვენთვის საინტერეს-

სო იქნება, როდესაც ჩვენის ქვეყნის სენი და მოთხოვნი-
ლებს არ იცის ასე-ღაწდობა? ამაშიც შემცდარი ბძანდება
ჩვენი ავტორი. ჩვენმა ასე-ღაწდობამ კარგად იცის, როგორ
დაჩაგრულია ჩვენი ეროვნება. როგორც დეკნილია ჩვენი სამ-
შობლო ენა და ამის შესახებ ურიგო არ იქნებოდა, რომ გა-
ენნოთ ჩვენთვის საუკეთესო რუსეთის მწერლების წარები, მა-
გალითად კოსტომაროვისა და შიშინისა, გამოთქმულნი «ე-
როშის მოამბეში.» სხვა-და-სხვა ეროვნებათა დანიშნულე-
ბაზე და უფლებბაზე. ჩვენმა ასე-ღაწდობამ ძალიან კარგად
იცის, თუ რა არის ჩვენთვის კლასიკური სისტემა განათლე-
ბისა, და მგონი ურიგოს არ იწამდა, გაენრო ჩვენის საზოგა-
დობისათვის რუსული ლიტერატურის წარები იმავე საგანზე.
სხვასაც ბუკრს მაგალითებს მოკვივანდი, მაგრამ, მგონი ესე-
ნიც კმარან. ბ. ყიფშიძე ბძანებს, რომ «ეხლანდელს დროში არა
გვევლიან იმისთანა შრომისათვის, როგორც არის მაგალი-
თად რუსეთის ცხოვრების და ლიტერატურის შესწავლა და მი-
სი გაცნობა ჩვენი საზოგადობისათვის, ე. ი. იმისთანა შრო-
მისათვის, რომელსაც დიან სათვალ-ჩინო კავშირი არა აქვს
ჩვენს ცხოვრებასთან.»

ამისთანა სიტყვების წამოსროლა ან უცაბედად მოსვლია
ბ. ყიფშიძეს და მაშინ თითონვე დააკვირდეს და თითონვე უზა-
სუნოს თავის-თავს, ან მოსვლია უმეცრებით და ამ გვარს
უმეცრებას საშველი არა აქვს-რც და კერც ჩვენ შევიძლებთ მის
განკურნებას.

თელავის სემინარია და პირველი მისი რექტორი
ბაიოზ ნაცვლიშვილი.

(დასასრული *)

მონასტრების დაწესება. საღვთის განათლებაში და განსაკუთრებით სასულიეროს წოდებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ მონასტრებს საქართველოში რუსეთთან შეერთების დრომდე, ე. ი. 1800 წლამდე. ესენი იყვნენ განათლების უშირველესნი ადგილნი საქართველოში თითქმის მაშინაც, როდესაც რუსეთის მიზაძვიით, ქათალიგოზმა დიდმა ანტონმა განსწავლეს სემინარიები თბილისში და თელავში; ამით არც ესლამოვნებათ თავის შესაფერებ ღირსება და შატივი. ამისთანავე განსწავლეს იმპერატორმა კატარინემ მეორემ დაეწესებინა მონასტრები მოზდოკის ეპარქიაში გაიოზის იმედით. გაიოზმა თავის მხრით ეს მინდობილობაც შეასრულა წესიერად. გაიოზმა შირველად დააფუძნა ფერის-ცვალების მონასტერი. ამ საქმეში ძლიერ ეხმარებოდა და ხელს უწყობდა გენერალ-გუბერნატორი გუდოვიჩი კატარინემ მეორის ბრძანებით. კატარინეს აზრით ამ მონასტერში, როგორც სხვებში, უნდა ესწავლებინათ ყმაწვილებისთვის «საღმრთო-წერილი და ცხოვრებაში გამოსადეგი ხელოვნობა» თუმცა კატარინემ მო-

*) «ივერია» № 8, 1881 წ.

ნასტრებს ეს ზირობა დაუდო, მაგრამ ეს წესი ფერის-ცვალების მონასტრის შესახებ დროთა და გარემოებათა მიხედვლობით, უნდა შეცვლილიყო. ამზედ გავლენა იქონია მოზდოკში სკოლის განხანამაც, რომლის დედა-ასრი განათლების მსახურება უნდა ყოფილიყო და მასთანადამე მამათ მონასტრებს საზოგადოდ და ფერის-ცვალებისას განსაკუთრებით ამისთანა მოვალეობა — განათლების მსახურება შეუმსუბუქდათ. ამ მონასტრის ზირვანდელი განზრახულება — სწავლა ემაწვილებისა — შეუცვალა იმ გარემოებაშიც, რომ სასარების მქადაგებელთ — მისსაონებებს სამუდამო სადგომი არა ჰქონდათ. ეს ფერის-ცვალების მონასტერი უნდა ესლას, ამ საჭიროების მიხედვლობით, გამხდარიყო მქადაგებელთა სავსენად, სადგომ სახლად. ამ შემთხვევაში განზრახულება და საშუალებანი ერთმანერთს არ ეწინააღმდეგება, არამედ ერთი მეორეს ემსახურება, ერთის საჭიროებას და მოთხოვნილებას მეორე აკმაყოფილებს.

ფერის-ცვალების მონასტერი დაფუძნდა გაიონის მიერ 1797 წელს და აშენდა ქადაქ გარეთ თერგის ნაზირზედ, მას. ლობლად ესლანდელის სასაფლაოს ეკლესიის წმ. წისასწარ-მეტყველის ილიასი, რომელიც იყო სამონასტრო ეკლესია. ამ შენობის ნაწილს შეადგენდა ფიტრული, ორ-სართულიანი სას. ლი, რომლის დერეფანი უყურებდა თოვლით შემოსილ კავკასიის მთებს. ამ სასლავში თვით გაიონი სცხოვრობდა ზაფხულდობით, როგორც საზაფხულ სასლავში. აქვე სცხოვრობდენ წინამძღვარი და კრებული მონასტრისა. ესენი იღებდენ ჭამაგინს მონასტრისთვის გადადებულ 300 მანეთიდან. მონასტრის ეზოში იყო საცხოვრებელი სასლავი აქ მოსამსახურე ზირთათვის და მათს ასლად იყო გაშენებული კენახი.

დედათ მონასტერი. ფერის-ცვალების მონასტრის და-
 ნიშნულება, როგორც მოვიხსენეთ, თუძცა იმაში მდგომარე-
 ობდა, იმპერატორის აზრით, რომ ეს, სხვათა შორის, ყო-
 ფილიუო სწავლა-განათლების გამაგრებლებლად, მაგრამ მოცი-
 ლეთ ამ საქმეში, როგორც შეგნიშნეთ, გამოჩნდა მოზღვრის
 სკოლა, გახსნილი გაიონის მიერ. ესეთივე საქმე, ე. ი. სწავ-
 ლა-განათლების გაგრძელება ჰქონდა დანიშნული თვით იმპე-
 რატორისაგან დედათა მონასტრისა და ეს დანიშნულება ამ
 დაწესებულებასა არც შესცვლია, რადგან ამას ისეთი მოცილვე
 არ გამოხსენია, როგორც გამოუჩნდა ფერის-ცვალების მო-
 ნასტრის, ე. ი. სკოლა საკუთრად ქალებისთვის სხვა არ და-
 წესებულა ამ დედათა მონასტრის გარდა. იმპერატორის აზ-
 რით, ამ მონასტერში უნდა აღზრდილიყვნენ ქალები, რო-
 ძელთაგ შეესწავლათ საღმრთო-წერილი და ხელნახობა, ცხოვ-
 რებაში გამოსადეგი, და ჰქონდათ აქვე ადგილი იმ უძოწვალო
 ქვრივებს, რომელნიც ხელს შეუწყობდენ ქალების აღზრდას.»
 ამ ბრძანების მისჯდულობით, დედათა მონასტერი, როგორც
 მამათა მონასტერი, უნდა შერიცხულიყვნენ მეორე ხარისხიდან
 მონასტრებად; მაგრამ უწმ. სინოდის ბრძანებაში, გამოცემულ-
 ში გაიონის სახელობაზედ, არც ერთის სიტყვით არ არის მოხ-
 სენებული დედათა მონასტერი. საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ,
 რომ დაფუძნება დედათა მონასტრისა და გამოჩენა საშუალება-
 თა მისის შენახვისთვის დამოკიდებული იყო შემდგომ დრო-
 ზედა და კეთილ-საიმედო გარემოებაზედ. მართლაც ამისთანა
 გარემოება და დრო ჩქარა დაუდგა მონასტრის, რადგან გა-
 მოუჩნდა აშენების ღონისძიება. აი რა იყო ეს ღონისძიება:
 გაიონის მისჯლის შემდეგ მოზღვრეში, მთიდად მოვიდა ერთი
 რიგობა ოსებისა დასახლებლად თერგის გასწვრივ. ამით თან

მოასვენეს ხატი ივერიის უკვლად-წმიდის ღვთის-მშობლისა, განთქმული სასწაულთ-მოქმედებითა. ამ ხატსედ ხალხს თავისი გარდამოცემა მტკიცედ ქქონდა დაცული. გარდამოცემის მიხედულობით, ეს ხატი თვით თამარ დედოფალმა გამოუგზავნა ოსებს, ჰილდოდ იმისა, რომ ამათ მიიღეს ქრისტიანობრივი საწმენოება. მასსადაც ოსებსა და სხვა მთის ხალხის განათლება ქრისტიანობრივ საწმენოებით ეკუთვნის ქართველებს. ამასვე გვიმტკიცებს ჩვენი ქართლის-ცხოვრებაც. იმ ტამარს, რომელმაც ესკენა აღნიშნული ხატი, თუმიცა ორჯერ მოეკიდა ცუცხლი, მაგრამ ორჯერვე ეს ხატი უვნებლად დარჩა. გზავნადაც და მოხდოკშიაც ამ ხატს ბევრს საკვირველ-მოქმედებას მიაწერდენ. მთიადმ ახლად ჩამოსულნი ოსები დაბანაკდენ თავიანთ წმიდა ხატით ქალაქის მოსავალში, სადაც სცხოვრებდენ მოქრისტიანებული ოსები და ჩერქეზები ყაზახებთან ერთად. როდესაც ძღველ-მთავარმა გაიოზმა შეიტყუა მოსვენება გამოჩენილის მთის ხალხთა შორის ღვთის-მშობლის ხატისა. გამოასვენა ქალაქიდან ჯვარი, გადაიხადა წინაშე მისსა ჰარაკლისი, წაიღო და დაასვენა იგი საკათედრო სობორში და მით მისცა მას საპატრიო ადგილი სამუდამო სადგომად, როგორც ამას თქმობდა გაიოზი. მაგრამ გაიოზს წარმოუდგა, რომ ღვთის-მშობელმა საკუთარის სასწაულთ-მოქმედებით აცნობა თავის სურვილი— იმყოფებოდეს ქალაქს გარეთ. იმ ადგილას, სადაც ის დაასვენეს და გაატარა ღმრთობის ურემში. ძღველ-მთავარმა საჩქაროდ გააკეთა ამ ადგილას ნიში და დაასვენა შიგ ხატი, ხოლო ამ ადგილის გარეშემო მცხოვრებთა (ლეკავსკოის სტანციის ყაზახებს) ნება მისცა, მოამზადონ მასალა საშენებლად ნიშის აღადგინა ტაძრისა. ოსებმა, ჩერქეზებმა და ყაზახებმა თვით მოიტანეს შენო-

ბისთვის საჭირო სე-ტეე; /ოღო ნებაყოფლობით შემოწირულ და მოკრეფილ ფულით გაიოზმა ააშენა ეკლესია, გაამშვენა შიგნით — გარედამ და აკურთხა ღვთის მშობლის მიძინების სახელობაზედ 1797 წელს. აი ამ ეკლესიის სიანსლოვკის იყო დაფუძნებული «ღვლათა მონასტერი მიძინებისა.» ჩვენამდის მოაღწივა მიძინების ეკლესიისა და სამონასტრო შენობათა აღწერამ, შედგენილმა 1800 წელს. ხატსა აქვს სიგეჲ ერთი არშინი და შვიდი გოჯი, მხატვრობის იერი არის ქართული. მარცხნივ გვერდზედ ხატს აქვს ქართული წარწერა.

ოსეთის კომისია. კომისიის წევრებად იყვნენ მოძეტე-ბუჯად სემინარიისში გურას-შესრულებულნი, მაშინდელ დროში მსწავლეული მღვდლები. როდესაც გაიოზმა დაიჭირა საეპარქიო კათედრა და გახდა მეუფროსედ კომისიისა, თითქმის სულ ახალი წევრებიდამ შეადგინა კომისია. მაგრამ დროთა ვითარების მიხედვით. ესენი დიდხანს არ იჩებოდენ ამ ადგილზედ. მღვდელმა ივანე ანდრეეჲმა (ოსმა) იმსახურა აქ მხოლოდ ხუთი თვე. 1798 წ. გაიოზავნა ინგუშებში სახარების საქადაგებლად მღვდელი სტეფანე გავრილოვი, მაგრამ მეორე წელს მოკვდავს მთებში. მღვდელ-მანაზონი ექვთიმე და მღვდელი ზაქარია ვასილიევი (ქართული); ხაკურთხნი 1799 წ. და მათთან მთავარ-დიაკონი ჩერქესისოვი უნდა გაქცეულიყვნენ ოსეთიდან იმ მიზეზით, რომ მათ დაეცნენ ყაზარდოელები. აქედან სჩანს, თუ რა საფრთხეში იყვნენ სახარების საქადაგებელნი მთებში.

ყიზლარის მონასტრის განახლება. გაიოზი მოწოდების გარეშე მოწოდდა მხოლოდ მონასტრების აშენებას. ის ცდილობდა გადაეკეთებინა და განემშვენებინა ყიზლარის მონასტერიც. ამის ფიცრული შენობა აქამდის იყო დამკვლავებული

და დამბუნებელი, რომ წასაქცევად ემზადებოდა. მონასტრის ეკლესიაში იატაკი უნდა გამოცვლილიყო, კედლებს უნდა ბატისში წასმოდა. გაიოზს უნდოდა, რომ მონასტრისთვის, ფიცრულის სახლების მაგიერ, აშენებინა ქვით-კირისა და ქვით-კირისავე სამრეკლო დაეგა. ამ შენობისა და გადაკეთებისათვის გარიგებული იყო მოიჯარადრესთან, რომელსაც უნდა მოეტანა, რამდენიც დასჭირდებოდა აგური, კირი, ხე-ტყე, რკინეულობა და სხვ. მაგრამ გაიოზს იმდენი ხანი აღარ დასცალდა მოზდოკის ეპარქიაში, რომ ეს განზრახვაც შეესრულებინა.

16 ოკტომბერს 1799 წელს გამოიცა უწ. სინოდის ბრძანება, რომლითაც მოზდოკის ეპარქია გაუქმდა და შეუერთდა ასტრახნისას, ხოლო მღვდელ-მთავარი გაიოზ გადაყვანილიქმნა ახლად გახსნილს სარატოვისა და პენზის კათედრაზედ. რა იყო მიზეზი მოზდოკის ეპარქიის ასე საჩქაროდ (1793—1799) გაუქმებისა, რომელიც იყო გახსნილი განსაკუთრებული განზრახვით? სინოდის ბრძანებაში ამის მიზეზად შემდგომი საბუთებია მოხსენებული: ეკლესიათა მცირე რიცხვი და ახალი განყოფილების რუსეთის ეპარქიებისა გუბერნიის განყოფილებათა მიხედულებით, ე. ი. გუბერნიებისა და ეპარქიების სამზღვრები ერთი და იგივე უნდა ყოფილიყო. მართლაც 1799 წ. ახლად გაიხსნა შვიდი თვით-მდგომარე ეპარქია, რომელნიც ეკლესიების რიცხვით მიხედულებით გაცილებით სჯობნიდნენ მოზდოკისას; ხოლო ასტრახნის ეპარქიაში, შემდეგ განშორებისა მისგან სარატოვის ეპარქიისა, რომელსაც მეტი ეკლესია აღარ დარჩომილა.

მაგრამ მოზდოკის ეპარქიის გაუქმებაზედ სხვა გარემოებათაც იქონიეს გავლენა. რუსეთმა განიზრახა მართლ-მადო-

დებლობითის ქრისტიანობის გაკრცვლება მთის ხალხში, რომელსაც ის ვერ იმორჩილებდა, როგორც სხვა თავის ქვეშევრდომ ტომებს. ისინი ხშირად მთავრობის წინ თვალთმაქცურად იქცეოდნენ, მტრობდნენ და სდევნიდნენ ერთი-მეორეს. სასწარების მჭადაკებულს ცალი ფეხი სამარეში ედგა. ამ აზრის დამამტკიცებელი საბუთები ჩვენ ზეგით მოვისხსენეთ, როდესაც ვსთქვით, რომ ერთი მათგანი მთებში მოჭვლეს, ხოლო სხვანი გაიქცნენ უზარდოელებისაგან თავის დასაცვლად. ამას შემდეგ თხუთმეტის წლის განმავლობაში მთიულებში მოისპო ქადაგება სასწარებისა. ეს საქმე მხოლოდ მაშინ წარმართა, როდესაც მთავრობამ მთიულების განმანათლებელთა ხელმძღვანელებს ანუ მმართველთ ადგილი უტკვალა. თხუთმეტის წლის შემდეგ ეს საქმე მიანდგეს თბილისში მოსახლე პირთ, როგორც უფრო მცოდნეთა და გამოცდილთ ამისთანა საქმეში. მიწიან მეფე, თამარ დედოფალი, თეიუმურაზ მეორე და ირაკლი მეორე იყვნენ ამ საქმის დამწყობნი და დამფუძნებელნი და ისევე იმათ სა-მეუფეო ქალაქიდან უნდა გაკრცვებულიყო და გაფენილიყო მთიულებში ნათელი ქრისტიანობისა.

მოზღოვის საეპისკოპოსო კათედრის გაუქმებასთან გაუქმდნენ აგრეთვე ზოგიერთი სხვა დაწესებულებანიც. გაუქმდა მაგ. გონსისტორია, მონასტრები ფერის-ცვალებისა და მიძინებისა. გონსისტორიის საქმეები გადაეცა ზოგი ასტრახნის გონსისტორიას, ზოგი უიზლარის სასულიერო სამმართველოს. ფერის-ცვალების მონასტრის ქონება გარდაეცა უიზლარის მონასტრს, ხოლო თვით მონასტრის სახლებში იმავე წელს დაფუძნდა სასულიერო მმართველობა. მიძინების მონასტრის წინამძღვარი ქალი და მასთან სამი მოღოზანი გადავიდნენ ასტრახნის საეპისკოპოსოში; თვით მიძინების მონას-

ტრის ტაძარი დაწნა სამრეკლო ეკლესიად. 1800 წ. მოზდოკში მცხოვრები მქადაგებელი ზოგნი გადაუყვანილ-იქმნენ უიზლარის მონასტერში, ზოგნი მიეწერნენ მოზდოკის კრებულთ (სობორს). ანტიელის სახლი მოზდოკში უნდა გაუიდულიყო 16 ოქტომბერს 1799 წ. გამოცემულის სინოდის ბრძანების ძალით. ოსეთის სკოლის გამგეობა მიენდო ბლავოჩინს იანე მათევიებს, რომელსაც უნდა სკოლის მდგომარეობასუდ ანგარიში წარედგინა სოლმე ასტრახანის ანტიელისთვის. უკანასკნელი განკარგულება მოზდოკის ეპარქიის გაუქმებასუდ და მისგან გამოწვეულის საქმეების შესახებ მოახდინა თვით ასტრახანის არხიეპისკოპოსმა პლატონმა, რომლის გამგეობის ქვეშე შევიდა ესლა მოზდოკის ეპარქია. აქედამ სწახს, თუ რა საჩქაროდ (1793—1799) მოიშალა როგორც ახლად გახსნილი მოზდოკის ეპარქია, ეგრეთვე უკულა გაიოზისაგან დადგენილი ახალი დაწესებულება. მოზდოკის ეპარქიის გაუქმების შემდეგ კავკასიის სამწყურს თითქმის ორმოცის წლის განმავლობაში არა ჰყოლია თავისი თვით - მდგომარე მწყემსთ - მთავარი. ამ დროს განმავლობაში ეს იყო მმართველობის ქვეშე პირველად ასტრახანის, სოლმე შემდეგ ნოვოჩერქასის მწყემს-მთავართა. (საქართვ. სას. მახარებელი, რუსული განყოფ. 1865 წ. აგვისტოს წიგნი.)

VI

გაიოზი სარატოვისა და პენზის, და ბოლოს ასტრახანის კათედრაზედ.
(1799—1819)

მღვდელ-მთავარი გაიოზი სარატოვისა და პენზის კა-

თედრიდამ გადმოუვანო-იქმნა ასტრახანის კათედრანსედ, სა-
დაც ამან დაჭყო 1818 წლამდის. მისი ცხოვრება, შრომა და
და გამოგება ამ ორს ადგილსედ ჩვენ სწოლებით არ ვიცით.
მასსადამე სწოლი თვრამეტი წელი მისის ცხოვრებისა ჭმოქ-
მელებისა ჩვენთვის სეწარ-გადაფარებულა. ამის შესახებ ცხო-
ბები უნდა მოინახოს აღნიშნული ეპარქიების არხივებში და
თვით ეპარქიებში. ეს ისეთი გვამი იყო, რომ თავის სასჯელს
უთუოდ დასტოვებდა აღნიშნულს ეპარქიის მცხოვრებთა შო-
რის. ქართველთაგან ვისაც, უამთა ვითარების გამო, შეხვდება
აღნიშნულს ეპარქიებში ანუ გუბერნიებში ცხოვრება. უმკბ-
ლია, თუ მას თავის ქართველობა არ დაუვიწყია, აღნიშნულს
ცნობებს მოინახოს ნახევრებ არხივებში და თვით სადღში ამ-
სედ გარდმონაცემს უფრს დაუგდებს და აღნიშნავს. იქნება ამ
არხივებში და ეპარქიებში მისი ლიტერატურული შრომანიც გა-
მოჩნდეს. ვისურვოთ, რომ ამისთანა მოშრომელნი გამოჩინო-
იყვნენ ქართველებში. ესენი ბევრს ძვირ-ფასს მასდას შეჭ-
კრეოდენ რუსეთში ჩვენის ასტრახანისთვის საჭიროს. უნდა
შეკნიშნოთ, რომ მეტეწამეტე საუფუნეში და მეცხრამეტეშიაც
ვინც კი შესანიშნავი გვამნი გვევანდენ ქართველებს, თითქმის
მომეტებული ამთგანი, სხვა-და-სხვა მიზეზების გამო, გაბ-
ნეულნი იყვნენ რუსეთის სხვა-და-სხვა ადგილებში და ერთსა
და იმავე საკანონოსაც ინდიდენ და თავის სამშობლოსაც იგ-
ლოვდენ. მოვიგონოთ ამ შემთხვევაში მეფე ვახტანგ სჯულის-
მდებელთან გადასახლებულნი რუსეთად 1500 პირნი, რომელ-
თაც მიიღეს სხვა-და-სხვა გუბერნიებში ყმა და მამული. მათ-
ნი შთამომავალნი მრავალნი არიან დღესაც რუსეთში, სადაც
მათ შეეცვალათ თვისი ენა, მაგრამ თავის ვინაობა მანც არ
დაუვიწყიათ (მიმოხვალა იონასი გვ. 145). ამთ შემდეგ გავის-

სენათ ანტონი მეორე, საქართველს ქათალიკოზი, ბატონის შვილები, სამღვდელონი და საერონი,—და დაერწმუნდებით, რომ უგელგან იზოკება ამათ შესახებ შრომის მასალა, რომელიც უნაყოფოდ არ ჩაივლის ჩვენის შთამომავლობისთვის. გაიოზი გარდაიცვალა ასტრახანში 1819 წ. (მიმოსვლა იონა რუისის მიტროპოლიტისა, დაბეჭდ. 1852 წ. გვ. 21. «დროება» 1877 წ. № 39.) და უნდა ვიფიქროთ, რომ იქვე დასაოგლავდა. მის საფლავზედ არის ანიშანი რამე, თუ არა ჩვენ არ ვიცით; ამასვე ცნობები ადგილობრივ უნდა მოინახოს და შეიკრიბოს.

VII

გაიოზის ნაწერები.

გაიოზმა სიკვდილის შემდეგ დაგვიტოვა სასსოკრად თავის ნაწერები როგორც საკუთარი თხზულებანი, ეგრეთვე თარგმანნი:

ა) საკუთარი თხზულებანი:

1) მცირე ქართული გრამმატიკა, დაბეჭდილი პოლტავის გუბერნიის ქალაქ კრემენჩუგში. რომელიც მე ხელში მაქვს. ამ გრამმატიკას აკლია თავში ერთი ფურცელი და წელიწადი დაბეჭდისა არ უზის. კრემენჩუგში გაიოზი სტხოვრებდა, როგორც ზეკით ვიხილეთ 1783—1793, მასმასამე ამის დაბეჭდვა უნდა ეკუთვნოდეს ამ დროს. ეს პირველი ნაწილი გრამმატიკისა (არ ვიცით თუ მეორე ნაწილიც არის) შესდგება 16 თავიდან. ჩემი წიგნი იწყობა მეორე გვერდიდან

(პირველ თავს ერთი ფურცელი აკლია) სადაც არის გაგრძელება სუცურის ანხანისა, რომლის შემდეგ იწყობა ქართული ანხანი და შესდგება 29 ასოდაძ.

ასანი განიყოფიან სამად: ხმოვანად, ორ-ხმოვანად და უხმოად. მარცვალნი, ლექსნი (ძე, ვსწერ), სიტყვა (სასარგებლო არს სწავლას).

5) ყოველნი ლექსნი, შემადგენელნი ქართულის ენისანი, განიყოფიან ორგანოებად: სახელი, ნაცვალ-სახელი, ზმნა, მიმღეობა, თანდებული, ზმნისზედა, კავშირი და შორისდებული. ამთგან პირველნი ოთხნი იწოდებიან შეცვალეებითად, ხოლო დანაშთენნი შეუცვალეებელად. ლექსთა აქეთ ა) სახე პირველსახეობითი (დედ) და წარმოებითი (დედიური) და ბ) ნაკვეთი— ა) მარტივი (პატივი) და რთული (პატივსაცემი).

3) სახელი არს ნაწილი სიტყვისა, რომლითაც იწოდებიან ყოველნი პირნი ანუ ნივთნი, ეგრეთვე ვითარებანი მათნი და რაკდენობანი.

სახელი განიყოფიან სამად: არსებითად, ზედშესრულად და რიცხვითად. ა) არსებითი სახელი აღნიშნავს პირსა ანუ ნივთსა, და განიყოფიან სამად: საკუთრებითად ანუ სათვითად (აღექსანდრე), საზოგადოდ (კაცი) და შემკრებლობითად (ტყე).

ბ) ზედშესრული სახელი აჩვენებს ვითარებასა პირისა ანუ ნივთისასა, და განიყოფიან სამ საჩისსად: დადებითად, შეთანასწორებითად და აღმატებითად. სხელით. ნათესავნი არსებითასა სახელისანი არიან ოთხნი: მამრობითი (მამა), მდედრობითი (დედა), საშუალო (შვიდი) და უმეშვეობითი ანუ უსულონი და გონებასა შინა წარმოდგენილნი (ცა, საქმე).

ხელე ვითარცა ნათესავნი ესე არსებითთა სასკელთანი იგულ-
ხმების მნიშვნელობითა ოდენ მათითა, და არა ვითარითაჲ
დახელეობითა ასოთათა; ეგრეთჲე ნათესავნიცა ზედშესრულთა
სასკელთა, ნაცვალ-სასკელთა და მიძლეობათანი იცნობების გან-
კუთნილებითა არსებითთა სასკელთადმი, და არავითარითაჲ
ცვლილებითა დამახლელებულთა ასოთათა.

გ) რიცხვითი სასკელი აჩვენებს რიცხვსა ანუ რაკვანობა-
სა პირისა ანუ ნივთისასა, და განიყოფიების ორად: რავდენო-
ბითად და წესებითად.

4) თვისებანი განკვეთილთა სასკელთა: ა) რიცხვი—მხო-
ლოებითი და მრავლობითი, ბ) ბრუნვა—რვა: წრფივობითი
ანუ სასკელობითი, ნათესაობითი, მიცემითი, შემასმენელობი-
თი, დაწყებითი, მოთხრობითი, მოქმედებითი და წოდებითი.
განკლედობა სასკელთა არს საზომი უკანასკნელთა ასოთა შეც-
ვლებისა თვითეულსა შინა ბრუნვასა ორთაჲე რიცხვთასა. გან-
კლედობანი სასკელთანი არიან ოთხნი: პირველი განკლედობის
სიტყვათა დახლოებანი არიან უხმონი.

მეორისა:—ა, მ, ვა, ვე,

მესამისა: ი, ვი.

მეოთხისა: ო, უ.

მაგალითი მესამე განკლედობისა.

რიცხვი მხოლოდ. რიც. მრავლ.

წ. ნათელ—ი — ელნი

ნ. ნათელ—ისა — ელთა

მ. ნათელ—სა — ელთა

შ. ნათელ—ი — ელნი

დ. ნათელ—ისაგან — ელთაგან

მ. ნათელ—მან — ელთა

მ. ნათლ — ითა — ელთამიერ

წ. ნათ — ელრ — ელნო.

5) წარმოებული სასულიერო ანუ იგი, რომელიც წარმოადგენს პირველ სასულიერო სასულიეროს, დამატებით ანუ შეტყუებით მარტვილთა შუამდგომლის მნიშვნელობასაც თვისსა, მაგ. კადი, კატეხი; მეფე, სამეფო. წარმოებანი სასულიერო იქმნებიან სხვა-და-სხვა გვარად: მოგებითი, ნათესაობითი, ქონებითი, ანსებითი, მღვდლობითი, თანშეყოფითი, კინობითი, შედგომითი, უღვდომითი, უკუთქმითი, შეტყუებითი.

6) ნაცვალ-სასულიერო ანუ ნაწილი სიტუვისა, რომელიც სიტუვითა შინა იმპარების ნაცვალად სასულიეროს, ანუ დაიდების მისთანა.

ნაცვალ-სასულიერო არიან ექვს-ნაირნი: ანსებითი, ჩვენებითი, მოგებითი, კვლავმღვდლებითი, კითხვითი, განუსაზღვრებელი.

7) ზმნა ანუ ნაწილი სიტუვისა, რომელიც აჩვენებს უფროსს ანუ მოქმედებას და ანუ ვნებას პირის ანუ ნივთისა დროთა ქვეშე.

ზმნა: კანონიერი და უკანონო. მნიშვნელობისამებრ თვისისა ზმნანი იქმნებიან: ანსებითი, შემოქმედებითი, ვნებითი, უშემოქმედებითი და საშუალონი.

8) მღვდარი ანუ გარემოებანი განკვეთილთა ზმნათა არიან შვიდნი: ნაკვეთი, სახე, რიცხვი, პირი, დრო, სქესი და უღვდომლობა.

ა) ნაკვეთი ზმნის იქმნების: მარტივი და რთული.

ბ) სახე ზმნისა არის სამი: პირველსავე, სხვით გარდასვლითი, და მარტობლსხვითგარდასვლითი: კსწერ, კაშენებ;

ვაშენებინებ, ვაწეკრანებ, ვაწეკრანები; ვაწეკრანებინებ, ვაწეკრანებინებინებ.

გ) რიცხვი: მხოლოდობითი, მრავლობითი.

დ) პირნი ზმნათანი არიან სამნი: პირველი, მეორე და მესამე. სხოლით: პირნაკლნიცა ზმნანი იცნობებიან სამგვარად-
პე: პირველისა გვარისა, მეორისა—და მესამისა.

ე) დრონი ზმნისანი არიან სამნი: აწმყო, ნამყო, მყო-
ბადი. დრო ნამყო განიყოფება ოთხად: უსრულად, სრუ-
ლად, უსრულესად და უუსრულესად. ამის გამო დრონი
ზმნისანი იქმნებიან ექვსნი: აწმყო, ნამყო უსრული, ნამყო სრუ-
ლი, ნამყო უსრულესი, ნამყო უუსრულესი და მყობადი.

ვ) სქესი ზმნისა იქმნების ოთხად: საზღვრებითი, ბრძა-
ნებითი, იპოტეტიკა, ე. ი. უკეთეობითი (სათუო), და საწა-
დი, და განუსაზღვრებელი.

უღველილებანი ზმნისანი არიან ორნი: ზმნანი პირველისა
უღველილებისა განპირვდებიან პირველსა შინა პირსა ასოითა:
ვაშენებ, აშენებ, აშენებს; მეორისა უღველილებისა—ასოითა პ:
მრწამს, გრწამს, ჭრწამს; მაჭვს, გაჭვს, აჭვს.

მიმოხერა ზმნათა (спряжение).

ზმნაზედვე არის საუბარი მეცხრე, მათე და მეთერთმე-
ტე თავში.

12) მიმღეობა არს ნაწილი სიტყვისა, რომელიცა ჭწარ-
მოებს ზმნათაგან, და ხმარებულნი მსგავსად ზედშესრულთა სა-
ხელთა, აღნიშნავს მოქმედებას ანუ ვნებასა. მიმღეობანი ზმნა-
სავით იქმნებიან: არსებითნი, შემოქმედებითნი, ვნებითნი, სა-
შუალონი და აჭვს სამნი დრონი.

13) თანდებული არს ნაწილი სიტყვისა, რომელიცა დაი-
დების სხვათა თანა ნაწილთა სიტყვისათა განყოფილად ანუ

შეერთებულად, და თვით მხლელად თავით თვისით არა იხმარების და არცაღა გულისმებულ იქმნებას.

14) ზმნისზედა არს ნაწილი სიტყვისა, რომელიცა დაესხმის წინაჲ ზმნათა ანუ მიმღებრათა და ოდესმე სახელზმნათაცა. და ცხად-ჭყოფს ვითარებასა, ანუ სხვასასა. ზმნისზედანი მნიშვნელობისამებრ თვისისა იქმნებიან: ვითარებითნი, რადქონებითნი, დროებითნი, ადგილდებითნი, რიცხვითნი, წესებითნი, დამტკიცებითნი, უკუთქებითნი, კითხვითნი, საიჭგონი, მსწრაფლდებითნი, სშირდებითნი, შემკრებელდებითნი, განკუთმდებითნი, ჩვენებითნი, საწადნი, შემჩრდებლებითნი, უთანამდებობითნი, მყოფდრებითნი.

15) კავშირი არს ნაწილი სიტყვისა, რომელითაცა შეერთდებიან ლექსნი ანუ სიტყვანი ურთი-ერთისათანა. კავშირნი მნიშვნელობისამებრ თვისისა არიან შემდგომნი: შეერთებითნი, განყოფილებითნი, უკუთუობითნი, მიშკებითნი, გარკემიმღეობითნი, მიზეზობითნი, კიდურმდგომარეობითნი, განმარტებითნი, მეტრობითნი. კავშირნი განყოფილებიან კვალად წინა-მავალდობითად და შედგომილებითად.

16) შორისდებულნი არს ნაწილი სიტყვისა, რომელიცა აღნიშნავს სხვა-და-სხვათა მოძრაობათა სულიერისა ვნებისათა. შორისდევრული მნიშვნელობისამებრ თვისისა იქმნებიან: განკვირვებითნი, საღმობითნი, შეურაცხებითნი, კიცხვითნი, იღუმალობითნი, რისხვითნი, წოდებითნი, ნატვრითნი: ნეტარ, ვაშა, და სხვანი. დასასრული პირველისა ნაწილისა.—

2) საქართველოს ისტორია. მე ეს წიგნი არ შემხვედრია ქართულ ნაწერების წიგნთა-სიებში.

3) წინა-სიტყვაობა ქათალიკოზ ანტონი დიდის »წყობილ-სიტყვაობისა« ხუთ-ტაბუკანი ლექსებით (წყობილ-სიტყვა

გვ. XX—XXV) და შინაქს-სიტყვაობა ღვთის-მეტყველების ალფაბეტსა ზედა ქმნილი. ეს უკანასკნელი არის ჩართული ქათალიკონის ანტონი დიდის მღვთის-მეტყველების მეოთხე ნაწილის ბოლოში. ეს ღვთის-მეტყველება და მის ბოლოში შინაქს-სიტყვაობა მინასკას ჰეტეროქორში ბ. დავით ასევე მის ჩუბინოვის წიგნთ-საცავში.

4) ქადაგებანი, რომელთა რიცხვში უნდა ჩაითვალებენ თელავის სემინარიის გახსნის დროს წარმოთქმულნი მის მიერ შესხმანი და ქადაგებანი. ამით გარდა ჩვენ სხვა ქადაგებანი გაიზისა არსად შეგხვედრია.

ბ) თარგმანნი: 5) «მომოსვლა» ბარონ-დე-ზოლცინისა, აღწერილი ისტორიულის და გეოგრაფიულის გვართ, ტომი პირველი, თარგმნილი რუსულთ ქართულსა ენასა ზედა არხიდაკონის გაიზის მიერ, მოსკოვსა, 1776 წელსა, 25 ივნისს. მთარგმნელი უძღვის ამ წიგნს: მისს უკანათლებულესს მეფის ვახტანგის ძეს გიორგის ღებურალ ანშეფს. ამის წინასიტყვაობაში გაიზი სხვათა შორის სწერს: «არ არს ესრეთ ტკბილი, ვითარცა სიყვარული მამულისა, ესრეთ მსახურება, ვითარცა უფალთა.»

6) წმიდისა მამისა ჩვენისა ამბროსი მედიოლანელ ეპისკოპოსისა მიცვალებებისათვის ძმისა შინისა სატირისა, რომი წიგნი. პირველ წიგნს აწერია თავზედ: «სახელითა მამისათა... ვიწვე 1789 წ. ივლისის 30. კრემენჩუგს, გაიოს.» ბოლოში აწერს: «დიდება შენდა მიმღებელთა ყოველთა, უფალა! სრულ ვუავ 1789 წ. აგვისტოს 1-ს, კრემენჩუგს, გაიოს.» ეს სიტყვა შესდგება 37 ნასკვარ-თახახან იფურტელთაგან. მეორე წიგნს აწერია: «სახელითა მამისათა... ვიწვე 1789 წ. ივლისის 21, კრემენჩუგს.» ამას ერთი იფურტელი ავლია ბოლოში და ამის-

თვის არა სწანს, თუ როდის გაუთავებია. შესდგება 46 ნასე-
გარ თაბახიან ფურცელთაგან.

7) წმიდისა მამისა ჩვენისა ამბროსი მედიოლანის კპის-
კოპოსისა სიტყვა მიცვალებასა ზედა თეოდოსი დიდისა.
შესდგება 25 ნასეგართაბახიან ფურცელთაგან. ამას თავზედ
აწერია, ჩვეულებისამებრ: «სახელითა მამისათა... ვიწყე 1789
ივლისის 14, კრემენჩუგს, გაიოს.» ხოლო ში: «სრულ ვეგ
1789 წ. ივლისის 15, კრემენჩუგს, გაიოს.» ეს ხელთ-ნაწერი
იწეობა 63 გვერდიდამ. თავი დაკარგულა.

8) სამღვდელთა ისტორია. თავზედ აწერია: «ვიწყე
1799 წ. თებერვლის 28, გაიოს, მოზდოვს.» ამ ისტორიისა
ერთი ფურცელია გადაწომილი, სხვა კი დაკარგულა. ეს ფო-
ფილა დაფოფილი ჰარაგრაძეობად, იწეობა სოფლის შექმნიდამ.
პირველ ფურცელში არის § 6. მოვიყვანთ ნიმუშად § 1.
«ღმერთმან შექმნა სოფელი ესე არა რაიმესაგან სიტყვითა თვი-
სითა, დიდებად სახელისა თვისისა და ცხად-ყოფად ქმნილთა
სახიერებისა თვისისათა. ექვსსა შინა დღესა. პირველსა დღესა
—ცაი და ქვეყანა და მერმე ნათელი. მეორესა—სამყარო. მე-
სამესა დღესა განჩყო და განაშორა წყალი მიწისაგან, და უბრ-
ძანა მიწისა აღმოცენებად მცენარეთა. მეოთხესა დღესა—მზე,
მთავარე და ვარსკვლავნი. მესუთესა—მოზრინველნი ცისანი და
თევზნი ზღვისანი. ხოლო მეექვსესა დღესა — ცხოველნი ქვე-
ყანისანი, და კაცი ხატად და მზგავსად თვისად, და მეშვი-
დესა დღესა განისკენა ყოველთაგან საქმეთა. კაცი უკვე შექმნა
ღმერთმან, ხორცისა მოძებელმან მიწისაგან, და სულისა ხა-
ტად და მზგავსად თვისად დამბადებელმან, რომელმანცა სცნას
შემოქმედი თვისი, შეიყვაროს იგი ყოველითა გულითა და
ყოველითა სულითა, ჳ ცოლი გვერდისაგან კაცისა დამნიშვნელ-

მან. კვალად ორნივე ერთ-ხორც არიან. კაცსა სასხელ-სდგა ადამ და დედაკაცსა ვაჟ, და დაამკვიდრნა ივინი სამოთხესა საშვე-ბელისასა უკვდავებით.»

როგორც ამბობს მედიკანულის სიტყვანი, ეგრეთვე სამღვდელთა ისტორია არის თვით გაიზნის ხელთ ნაწერი. ესენი ეკუთვნიან ბლ. მღვდელს მიხეილ ხელაევს. ამას ესენი უნახავს ერთს თელავის მებაყლის დუქანში, რომელსაც ამ ნაწერის ფურცელში გამოუხუბვენი ვუკელის ნაჭერი და მიუცია მსყიდველისთვის. მღვდელს ხელაევს გადუსინჯავს ეს დიდი რვეული ხელთ-ნაწერისა და რადესაც გაიზნის სასხელი ამოუგითხნა, მამინათვე უთხრუნია ამ ნაწერის დათმობა მედუქნისთვის, რომელსაც აუსრულებია ამის თხრუნა. მედუქნეს უთქვამს, სხვათა შორის, რომ ეს ნაწერი იმასთან მიუტანია სოლომონ ფირანავის შვილს, მყოფს (ესლას მიცვალებულთა) თელავის სობორის ბლადოჩინ დეკანოზად. რადესაც მღვდელმა, დეკანოზ-ბლადოჩინმა არ იცის უადრე ამისთანა ნაწერისა, სხვა რაღა გაკამტყუნოთ. მაგრამ ეს ბლადოჩინ-დეკანოზი იმისთანა კაცთა წყებას ეკუთვნოდა, რომელიც სდევნის ყოველს ქართულს, ოღონდ ვი ამით რუსების წინ ერთგულად გამორჩდეს.

9) სამღვდელთა რელიგიონტი.

10) პეტრე დიდის ისტორია შობილგან სიკვდილამდე.

11) ეგვიპტის ისტორია, დიოდორისა.

12) კვირისის ისტორია, სპასკეთის მეივისა.

13) ძველთა სამეფოთა ისტორია.

14) სამხედრო არტიკული პეტრე დიდისა.

15) ეკრეპიულ ქალაქთა ლექსიკონი.

16) სამგზავრო (დოროჟინისა) გეოგრაფია.

17) ღვთის-მეტყველება, მოსკოვის არქივის პლატონისა.

18) მარკ-აერკლია.

19) გელიზაჩი, ჰეტერბურგის სამეცნიერო აკადემიის
წიგნთ-საცავში, ქართულ განყოფილების კატალო-
გი № 204.

10) სამეფო ტომარი, ალაშიტის დიაკონის წიგნი, იქ-
კმ № 205.

21) კიტაიის სიბრძნე, იქვე № 217.

22) განმარტება იგავთა სოლომონისათა.

23) ვასილი დიდის ეპისტოლეები.

(გიორგი მეთვის ცხოვრება, პ. ი. გვ. 157.)

24) საწმუნოების კითხვა-მიგება.

25) გონების ჭაზრი.

26) ურმათ სასწავლო ჭაზრი.

უკვლავ შემორჩენილი ნაწილები წიგნები არის მოხსენებულნი
გაიოზის ნაწერებად ანუ თარგმნად (რუსულიდან აქვს ნათარ-
გმნი) ძველს წიგნთა სიებში (კატალოგებში). ზოგს ამთავანს
ისსენიებს ანუ ასახელებს გაიოზის ნაწერებად პლ. იოსელია-
ნიც (Кратк. истор. груз. церкви, стр. 135). ამის სინამდვილე,
რასაკვირველია, მაშინ შეიტყობა, როდესაც გადისინჯება თვით
აღნიშნული ნაწერები, რადგან, როგორც ვიცით სხვა ძველის
წერილების გადასინჯვით, თითქმის უკვლავ ნაწერზედ არის მოხ-
სენებულნი არა მხოლოდ მთხზველის ანუ მთარგმნელის სახე-
ლი, არამედ ხშირად თვით გადამწერისაც და ხან მიზეზიც გა-
დაწერისა. ამასთანავე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ უფრო
კრეტელის ცნობებით შეიძლება შეგვეჩვენოს ეს გაიოზის ცხოვ-
რების მიმდინარეობა, მაგრამ ის მასალები, რომელიც ჩვენ ამის-
თვის დაგვჭირდა, ისე არიან გაფანტულნი სხვა-და-სხვა წე-
რილებში და ადგილებში, რომ მათი შეკრება ერთის კატისაგან

ყოველად შეუძლებელი საქმეა და მას შეიძლება მხოლოდ რადენიმე გვამნი ცოდნით, ხალისით, თანხმობით, შრომით და შეძლებით აღჭურვილნი. ვისურვოთ ამ ყაზად, რომ ამისთანა მშრომელნი გამრავლდენ ჩვენს საზოგადოებაში სამშობლოს წინსულის აღსადგენად და მისი მომავლის ბედის მტკიცედ დასაფუძნებლად. ბოლოს უმოწილესად ვსთხოვთ პატრიოტულ მკითხველებს, თუ რომ მათ აქვსთ ან ნაწილები გაიზონ, ან იცან შემთხვევანი მისის ცხოვრებიდამ, ყოველივე ესენი, უკეთუ ისურვებენ, ჩვენ გადმოგვცენ (ადრესი: Телавъ, Въ Духовное Училище), რომელსაც დიდის მადლობით მივიღებთ და რაც გადმოცემული წერილი ანუ წიგნი იქნება, ყოველსავე თავის დროზედ და ყოველის უნაკლულად დაკუთრებით პატრონს.

ნ. მთვარელიშვილი.

10 დეკემბერს, 1880 წ.

ქ. თელავი.

ახალი წიგნები.

წაფხული, ყრმათათვის საკითხავი წიგნი. წყარო № 3 და 4.
ანთ. ჟუდელის რედაქციით გამოცემული. თბილისი, 1881.

პატარაობაში ყველას წავითხუღი გვექნება მცირე მოთხრობა—წელიწადის ოთხი დრო, რომელშიაც ნაქების სათითაოდ გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი. ესლა ჩვენს პატარა ბავშვებს ამ პატარა მოთხრობის მაგივრად ექნებათ ოთხი წიგნი, რომელთაც წელიწადის დროთა სახელები ჰქვიათ, საზოგადო მათი სახელი არის წყარო, ზამთარ-ზაფხულ უძრობელი. ორს წიგნზედ ჩვენს ყურნალში კიდევაც მოკლასპარაკეთ მკითხველებს; ესლა მოგვივიდა მესამე წიგნიც: «ზაფხული» და იქვლია რომ ეს სამი ძმა ობლად არ დარჩებიან და მეოთხეც ძალე დაებადებათ.

ამ წიგნების სულის ჩამდგმელი არის თ. რაფ. ერისთვის ლექსები. ყოველს წიგნში იზოვით იმისთანა ლექსს, რომელიც აღწერს იმ შეჭტევას ანუ მუშაობას, რაც აღნიშნულს დროს შეეფერება. პირველს წიგნებშიც თუშტა კარგი ლექსები იყუ: «ზამთარი» და «გაზაფხული», მაგრამ სიცხოველით, გამომსატველობით და ენის სიმარტივით კერტ ერთი მათგანი ვერ შეედრება ამ წიგნში დაბეჭდილს «ზაფხულს.» ამ პატარა ლექსში არის აღწერილი ზაფხულის ორი უმთავრესი საქმე: მკა და ლეწა და ძნელია წარმოიდგინოთ, თუ არ წავიკითხავთ, რომ-

გორ ყოველივე წინადადება ამ ლექსში ბავშვის გონებაზედ აწის გამოჭრელი, როგორ ყოველივე მათგანი სახავს რამეღსამე მუშაობას და მოაგონებს ბავშვს ნამგლის ტრიალს, მუშის გუგუნს, ქოლპუნას, კვერზედ ჯდომას და როგორ დეზად აწის თქმული ლექსის ბოლოს:

«ქალი, ვაცი, გოგო, ბიჭი ეზიდება ზამთრის სარჩოს...»

—ვაშა, ვაშა, მუშა ხალხსა! ღმერთმა იმათ გაუმარჯოს!...»

მეორე ლექსიც იმავე ავტორისა «მერცხალი» ლამაზი საბავშვო ლექსია, მაგრამ ბოლოში ცოტა ნამძლადვეა. დიდს მკითხველზედ მეტად ცუდი შთაბეჭდილება აქვს სოლომე ლექსს, როდესაც მას ეტყობა ნამძლადობა და რითმის გულისთვის უსაგლო სიტყვის ნამძრება და ვგონებთ, რომ ბავშვებზედაც ასე უნდა იმოქმედოს და თუნდა ასედაც არ იმოქმედოს, ამ გვარი ნამძლადვეად შეთხზული ლექსი შეაჩუკოს მას ხელოვნურად და არა ხელოვნურად წერას.

აწის ამ წიგნში ორიოდ სხვა ლექსიც. თავში მოქცეულს ლექსს ბ. რომანიძისას «უმაწვილის ღოცვას» ეტყობა ნიჭი, მაგრამ ავტორს სრულებით არა სცოდნია ლექსთა-თხზულების წესი, თორემ ამ გვარს უშნო სტრიქონებით არ დაიწყებდა თავის ლექსს:

«რად გაჩუმდი გენაცვალე;

რა დაგემართა?

რად დაღონდი, ჩემო გვერდო,

მოდი ჩემთანა.»

ამ გვარი დასაწყისი სშირად მკითხველს ხალისს უკარგავს და ბევრი ამ სტრიქონებს არ ჩასცილდება; არ ჩასცილდება, მაგრამ შეიძლება ინანოს კიდეც. ამ ლექსს ეტყობა

გრძნობის ნიშან-წყალი და ზოგიერთი სტრიქონები სწორედ სელაგენურად არის დაწერილი.

ამ წიგნში ნათარგმნ მითხრობებს გაუმარჯვნიათ ორინ-გინაღუკებზედ. «გიგოს ყანა» თუმიცა რუსულიდამ გადმოღუ-ბულია, მაგრამ ცოტა ქართულაობაც ეტყობა; მთარგმნელს ვოლ-გის თუ დონის მაგიერად მითხრობაში არაგვი ჩაუგებობია და სმარად მთებისაგან ხანის მოცემა საქმეს გვიჭირებს; ალბად ამითიც მთარგმნელს უნდოდა უფრო ქართული ხასიათი დას-ტყობოდა მითხრობას, რადგან რუსეთში მთები ძალიან ცო-ტაა, მაგრამ ეს სადღაური-და ქართულია: გრუზიანი ჩიტების ჭყლიზინი და სსვ.

შინაარსი რომ გადმოგცეთ ამ მითხრობისა, ბეგრს ვე-რას შეიტყობთ მის ღირსებას; ბავშვი ყანის ახლო თამაშობ-და, მერე ყანაში შევიდა, გზა დაეზნა და შიმშილით მოკვდა; რამდენსამე დღის შემდეგ იზოვნეს მომკვლელებმა მკვლარი ბავშვი. შინაარსი მართალია უბრალოა, მაგრამ საქმე ეს არის, რო-გორ გამოუყენებია ავტორს ეს მცირე მასალა. გამოუყენებია ისე რომ ბავშვი ვიდრე არ ჩათავებს მითხრობას, თავს არ დაანებებს. ავტორი სწორედ ბავშვის კანში ჩამჯდარა და ისე უამბობს, რა ტანჯვა და ოცნებები უნდა გამოეარა უსუსურს ბავშვს, რომელიც ისე მცირეა, რომ ყანამაც კი თავით იქნამ-დე დამალა რამდენსამე დღეს.

გამოჩენილის არაგვიბის მთქმელ ანდერსენის მითხრობა «ჩიტი და ტუსადი» სწორედ შეჭფერის ავტორის ნიჭიერე-ბას. შინაარსი აქაც უბრალოა. ტუსადი სთხოვს სხვა-და-სხვა ფრინველებს უმღერონ რამე და შეწუხებულის გულიდამ სევდა გადაუყარონ; ყველას თავისი საქმე აქვს; მხოლოდ ბუღბუღი შემოჯდება და უამბობს ტუსადს... რას?... იმას, რაც ყოვე-

ლის ტუსადისთვის უფრო გულ-მოსაკლავი და თან სასიამოვნო გასაგონია—ცოლ-შვილის და სახლ-კარის ამბავს...

ორიგინალური მოთხრობა «თელა» უხსნის ბავშვს ცოლადან და აწინდელს სოციალურს და ეკონომიურს განწყობილებას და ცუდის დანახვით კარგის ნახვის სურვილს უღვიძებს...

ვისთვის ზრისთვის არის დაწერილი «მგელი ზ ქალი» არ ვიცი, მაგრამ ეს კი ვიცი რომ, ვისაც ბუნების მეტყველებიდან უნდა სწეროს რამე, უნდა გაიგოს კიდევ ქართული სახელები სხვა-და-სხვა საგნებისა და შექამადსავით ერთმანერთში არ აურიოს. აი რასა სწერს. მაგალითად ამ წიგნის დამბეჭდი—«ჟინტელების» ავტორი. «კვერცხები (ჟინტელების) შირველად შარვებად იქცევიან... რომლებსაც მუშა ჟინტელები სასწრდლებენ» (ეგ შარვებს სასწრდლებენ?) შარვები რამოდენიმე ხნის შემდეგ კვერცხებად იქცევიან.» (კვერცხები შარვებად და შარვები ისევ ისე კვერცხებად?!) აქ რაღაც ამბავია. აი რა ამბავია: ავტორს აურევია ერთმანერთში კვერცხის (თესლის) ფუმიფლას და შარვის სახელები. ავტორსა სცოდნია, რომ მწერები სასოგადოდ ასე იზღებინ: ჯერ კვერცხიდან ფუმიფლას გამოკვას; მერე ფუმიფლა შარვს გაიკეთებს და ბოლოს შარვიდან გამოდის სრული მწერი. სცოდნია ეს ავტორს, მაგრამ ფუმიფლას სახელი დაჭვიწეების და ამისთვისაც კვერცხი დაურქმევია. წარმოადგინეთ როგორ აერევა თავ-ბუდი ბავშვს ამ სტატიის კითხვაზე...

ბოლოს ვისურვებთ რომ გამოცანებს შატრის ჭკუის საკარკიშო ეტუბოდეს და მარტო თვალების სასწოდ არ გადაქცეულიყოს.

ლექსნი, თხზულება მ. ყორღანოვისა, თბილისი, 1881 წ.

დალოცვილია ქართული ენა, რომ რითმი ძალიან ადვილად ეწეობა. მაგრამ თან დაწვევლილია, რადგან ეს რითმის შეწყობის სიადვილე აბედინებს ყორღანოვებისთანა შველახუნებს მთელის ტომების გამოცემას.

ამოგიწერთ «დროს გასატარებლად» ერთს ნიმუშს ბ. ყორღანოვის ლექსებისას სრულად:

«დროს გატარება»

ბულვარზედ გავიარე
ერთსა დღესა წვიმაში;
მარტოდ-მარტო ვიარე
განვეული შუბაში

—

მარამ არ ვიყავ მარტო,
ორსავ მხრივა სანლები,
უკან მომდევდა კინტო
და ხუთიოდ ძალები!

აი კიდევ მეორე ლექსი: «განღვიძება ჩემი უძილოდ სიზმრისა», მაგრამ ლექსს აღარ ამოვიწერ, სათაურიცა კმარა.

მართალია ლექსები არა ბრწყინავენ მშვენიერებით, მაგრამ ეს მიეტიკება იმისთანა თავ-მდაბალს ავტორს, რომელიც არის მ. ყორღანოვი, რომელიც თავის ლექსთა-კრებაში სხვების მსახურსაცა ბეჭდავს და თავის მსახურის-მსახურს, სადაც ხან ერთი ეძახის, ხან მეორე ერთმანერთს «ყალბ-აყროლებულს.» მ. ყორღანოვი ისეთი თავ-მდაბალი ყოფილა, რომ თითონვე ამბობს თავის თავზედ:

«მე არა ვარ ფილოსოფი, რომ ხალხს (ვ)უძღვნა დარიგება, და არცა მაქვს ის აღმოთქმა, ენას მივსცე მშვენიერება, მაშ მე არა (რა) ვარ! არაფერი....»

მაშ რაღას გვაწუხებდით ამდენი ხანი ბ. ყოჩლანყო?

დაბადების საზოგადოების გამორცემანი. უიდი პატარა რვეული.

უცხო-ქვეყნელებისათვის ძნელია დაესმარონ ჩვენს ლიტერატურას, რაც უნდა სურვილი წმინდა ჭქონდეთ: არ გვიცნობენ და არ ვიცნობთ და რა გასაკვირველია, რომ იმისთანა წიგნები შეკვიდგინონ, რომელთაც მეწვრილმანეები თუ იყიდიან ყველის გასახვევად. ვიდრე დაბადების საზოგადოება მშვენიერად გვიბეჭდავს სხვა-და-სხვა სასულიერო წიგნებს და იაფად ჭყიდის მათ, იგი მაღლობის დიქსია ჩვენგან, მაგრამ როდესაც თავის ან თავის აგენტების საწარმოებსა ბეჭდავს, მაშინ, უგაცრავად ნუ ვიქნებით, კერაფერს მაღლობას ვიტყვი, რადგან საგანი მაღლობისა არა გვაქვს. აბა თქვენი ჭირიმეთ რომელი ქრისტიანი წაიკითხავს «სასიხარულო ამბავს», «ობლის წერილს მაცხოვრებლის», «რა არის ქრისტიანს», «საქარწინე ტანთსაძმელს» და სხვა ამისთანა ოთხგრომიან «საქარწინელს», გარდა გადაყრუებულ ბებრებისა და თქვენი უძიარჩილესის მონის უბადრუკის რეტენსენტისა, მაგრამ... მაგრამ... გაგიტყდებით, ეს დაბადების საზოგადოების ნაღვასი თავიდან ბოლომდე არც მე წამიკითხავს.



ხელის - მოწერა «დროება-ივერიაზე» მიიღება:

თბილისში, «დროება-ივერიის» რედაქციაში, (გალავინის შროსპექტზედ, თ. ივ. კ. მუსჩანსკის სახლებში, კლუბის ქვე-
მოდ).

ქუთაისში: «დროება-ივერიის» აგენტთან ი. ჭყონიასთან
(სილაზედ, მიჩიან ჭყონიას სახლში.)

ქალაქს გარეშე მცხოვრებთ ყურნალ-გაზეთი ამ ადრესით
უნდა დაიბარონ:

Въ Тифлисъ. Въ Редакцію Дროება-Иверіи.

ფასი:

«ივერია» ექვსის თვით («დროებასთან» ერთად) —	8 მან.
«ივერია» ექვსის თვით ცალკე — — — — —	4 მან.
«ივერია» ერთის წლით — — — — —	7 მან.

სელის-მომწერთ იუული ყურნალ-გაზეთის დაბარებისათ-
ნაკე უნდა გამოგზავნონ რედაქციაში.

ვისაც ყურნალი თავის დროზედ არ მიუვიდეს, უმორ-
ჩილესად ვთხოვთ ძალე გვაცნობოს რედაქციაში.